

სტიგმა, სექსუალური იდენტობა და ცხოვრების ისტორია

მარიამ გოგიჩაიშვილი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების ფაკულტეტი, ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლილი ხეჩუაშვილი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების ფაკულტეტი, ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაია მესტირიშვილი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების ფაკულტეტი, ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე:

კვლევის მიზანია 16 არაჰეტეროსექსუალი ადამიანის ცხოვრების ისტორიაში ნარატივის მაკომპენსირებელი და კონტამინაციის თანამიმდევრობისა და სტიგმის ურთიერთკავშირის დადგენა და ნარატივებში ძირითადი თემების გამოვლენა. მონაცემები შეგროვდა მაკ ადამის ცხოვრების ისტორიის ინტერვიუს გამოყენებით. კვლევა შერეული მეთოდოლოგიით განხორციელდა. კერძოდ, მისი თვისებრივი ნაწილი მოიცავდა ნარატივების თემატურ და სტრუქტურულ ანალიზს, ხოლო რაოდენობრივი ანალიზისთვის თითოეული ინტერვიუს ტრანსკრიპტში გადაკოდირდა და დამუშავდა ისეთი სამიზნე ცვლადები, როგორცაა სტიგმა, მისი დაძლევის სტრატეგიები, მაკომპენსირებელი და კონტამინაციის თანამიმდევრობა. რაოდენობრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ ნარატივების მხოლოდ მეხუთედს გააჩნდა მაკომპენსირებელი თანამიმდევრობა, რომელთა უმეტესობა ზრდა-განვითარების და გაუმჯობესების თემებით იყო გაჯერებული. კონტამინაციის თანამიმდევრობა ნარატივების 15 %-ში გამოიკვეთა და ამ მონათხრობებში ძირითად თემას დანაკარგი წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ნარატივების თვისებრივ ანალიზში მკვეთრად გამოიკვეთა მოგონების ტიპს, ნარატივის სტრუქტურასა და სტიგმის დაძლევის შორის მიმართებები, რაოდენობრივმა ანალიზმა არ გამოავლინა ნარატივის სტრუქტურასა და სტიგმის დაძლევის შორის კავშირი. თემატური ანალიზმა გამოავლინა ისეთი ძირითადი თემები, როგორცაა დამოკიდებულება რელიგიის მიმართ, ოჯახური ურთიერთობები, მენტორის ყოლის სურვილი, სხვებზე ზრუნვა და უფლებების დაცვისთვის მუშაობა/ზრძოლა. ამასთან, ქართველი გეი და ლესბოსელი ადამიანები თავიანთი იდენტობის მარკერებით ამერიკულ არაჰეტეროსექსუალთა რომელიმე ერთ თაობას კი არ შეესატყვისებიათ, არამედ მოიცავენ ამერიკულ კულტურაში გამოდიფერენცირებული სამივე თაობის მახასიათებლებს.

საკვანძო სიტყვები: სექსუალური ორიენტაცია, სექსუალური იდენტობა, ცხოვრების ისტორია, სტიგმა, ნარატივის სტრუქტურა.

როდესაც ვთქვი, რომ გეი ვარ, დავკარგე ყველაფერი. დავკარგე ოჯახისგან და ჩემი გარშემომყოფებისგან ის, რაც სხვებს აქვთ... თუნდაც ის, რომ ჩემს შეყვარებულს არ აღიარებენ, ჩემს თანამგზავრს არ აღიარებენ, არ იღებენ და არ მიიღებენ. ბებია იქნება თუ პაპა იქნება, საერთოდ არავინ მიიღებს. მაგალითად, რომ მიჰყავთ საყვარელი ადამიანები, ანუ მისაღები როგორც არი და ისე ხო იღებენ, საჩუქრები და რა ვიცი, თან გადაყოლები. ანუ ეს ყველაფერი მე ჩამოშორებული მაქვს აბსოლუტურად. მიმღებლობა დავკარგე. ალბათ, ის ძალაუფლება დავკარგე, რასაც განიჭებს თვითონ კულტურა. კულტურა განიჭებს

ძალაუფლებას, რასაც კაცს ანიჭებს. როცა ხედავენ, რომ შენ ძალაუფლებაზე უარს ამბობ,.. საერთოდ არ ესმით არაფრის. აი ეგ დავკარგე... მტკივნეულია მაინც.

ეს ციტატა 27 წლის გეი მამაკაცს ეკუთვნის, რომელიც ქამინგ აუთის¹ შემდეგ საზოგადოებისა და გარემოს მისდამი შეცვლილ დამოკიდებულებას აღწერს. ის გარიყული, გაუფასურებული და სტიგმატიზირებული ხდება. მსგავსი ისტორიები ქართველი გეი და ლესბოსელი ადამიანების მონათხრობებში მრავლად გვხვდება. ისინი საუბრობენ სტიგმაზე, მისი დამღვევის სირთულესა და საკვანძო მოგონებებზე, რომლებიც მათი ცხოვრების ისტორიებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე საქართველოში არაჰეტეროსექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანებთან დაკავშირებული თემები ძალზე აქტუალურად განიხილება საზოგადოების სხვადასხვა წრესა თუ მასმედიაში, მათი იდენტობის ფორმირების თავისებურებებისა და კულტურასთან მიმართების, პიროვნული თუ მოტივაციური მახასიათებლების სისტემატური კვლევა მხოლოდ ახლახანს დაიწყო ქართველმა ფსიქოლოგებმა. ამიტომ ბუნებრივია, რომ ქართული კულტურის ჭრილში არაჰეტეროსექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანების შესახებ კვლევები მცირეა (გამონაკლისისთვის იხ. ურჩუხიშვილი, 2008; მესტვირიშვილი, 2015; აღდგომელაშვილი, 2016; ნემანიშვილი & ჯანაშია, ბეჭდვაში).

წინამდებარე კვლევის მიზანს არაჰეტეროსექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანების შესახებ სისტემური გზით მოპოვებული ემპირიული ცოდნის გაღრმავება წარმოადგენს. მასში კონკრეტული ადამიანების ცხოვრების ისტორიებზე დაყრდნობით ის ძირითადი თემატური ხაზებია აღწერილი და გაანალიზებული, რომლებიც ქართველი გეი და ლესბოსელი ადამიანების ნარატივებში აქტიურად არის წარმოდგენილი. ასევე, კვლევა მიზნად ისახავს, აჩვენოს, რამდენად უკავშირდება ერთმანეთს საკუთარი ცხოვრების ამბის თხრობისას და გაანალიზებისას მოვლენების დალაგების სტრუქტურა და ნარატივში წამოჭრილი ისეთი თემები, როგორცაა სტიგმა, სტიგმატიზირება და მისი დამღვევის გზები.

საქართველოში მსგავსი კვლევა ცხოვრების ისტორიისა და სტიგმის ცნებების ფარგლებში განხორციელდა (მესტვირიშვილი, 2016), თუმცა ჯერ არ არის შესწავლილი არაჰეტეროსექსუალური იდენტობის განვითარების პროცესი ქართული კულტურის ჭრილში, რაც ამერიკისა და ევროპის რიგ ქვეყნებში აქტიური კვლევის საგანს წარმოადგენს (მაგალითისთვის იხ. Cohler & Hammack, 2006; Weststrate & McLean, 2010). საინტერესოა, გადიან თუ არა ქართველი არაჰეტეროსექსუალური ადამიანები იდენტობის ფორმირების იგივე საფეხურებს, რომელსაც ამერიკული და ევროპული კვლევები აჩვენებს. რა თემატური ხაზები დომინირებს ქართველი გეი და ლესბოსელი ადამიანების ცხოვრების ისტორიებში, რა მსგავსება და განსხვავება იკვეთება არაჰეტეროსექსუალური იდენტობის ფორმირებაში ქართული კულტურის ფონზე და რა დაბრკოლებებსა თუ პრობლემებს აწყდებიან ისინი ქართული კულტურის კონტექსტში.

უშუალოდ კვლევის მეთოდისა და შედეგების აღწერამდე ნაშრომში მიმოხილულია კვლევის ძირითადი თეორიული ჩარჩო, ცნებები და მიდგომები, როგორცაა პერსონალური ნარატივი, ნარატივის სტრუქტურის კომპონენტები, კერძოდ,

¹ქამინგ აუთი ნიშნავს როგორც საკუთარ თავთან აღიარებას და იდენტიფიცირებას არაჰეტეროსექსუალად და/ან ტრანსსექსუალად, ასევე, ამ ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებას (ინგ. "Coming out of closet") (იხ. გაბუნია & ვაჭარაძე, 2013).

მაკადამსისეული მაკომპენსირებელი და კონტამინაციის თანამიმდევრობის ცნებები, სტიგმა და სტიგმის დაძლევის გზები ლაზარუსის და ფოლკმანის მიხედვით.

პერსონალური ნარატივი

პერსონალური ნარატივების და ცხოვრებისეული ისტორიების კვლევებში ცენტრალურ ადგილს ნარატიული იდენტობის ცნება იკავებს (ხეჩუაშვილი, 2016c). ნარატიული იდენტობა ინდივიდის მიერ საკუთარ თავზე მოყოლილ ინტერნალიზებულ, განვითარებად და ინტეგრირებულ ცხოვრებისეულ მონათხრობს გულისხმობს. ის ერთგვარი სტრუქტურაა, რომელიც მთხრობელის ცხოვრებას გარკვეულ შინაარსს და მიზანს სძენს (McAdams, 2009). მკვლევრები თანხმდებიან, რომ ნარატიული იდენტობის ჩამოყალიბება გვიანი მოზარდობის და ადრეული მოზრდილობისას იწყება, ხოლო მისი ცვლილება და განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება (McLean & Syed, 2015).

ცხოვრების ისტორია სუბიექტურია ორი თვალსაზრისით: (1) ის პიროვნების მე-ს ნარატიული კონსტრუქტია და არა -- დამკვირვებლის ინტერპრეტაცია და (2) ცხოვრების ისტორია და წარსულის ობიექტური ქრონოლოგია ყოველთვის არ თანხვდება ერთმანეთს, რადგან პიროვნება მხოლოდ მისთვის მნიშვნელოვან მოვლენებს ყვება წარსულიდან და უკავშირებს მათ მომავლის წარმოდგენებს. ის პიროვნული მითი უფროა, ვიდრე ობიექტური ბიოგრაფია (McAdams, 1993), მაგრამ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ეს ისტორია სიმართლეს შეესაბამება, რადგან მიზნად ისახავს, თანამიმდევრული ახსნა მისცეს სუბიექტს, ვინაა ის ახლა, ვინ იყო წარსულში და ვინ იქნება, სავარაუდოდ, მომავალში. ასევე, ხსნის, როგორ/რითი ჰგავს პიროვნება სხვებს და, ამავდროულად, როგორ განსხვავდება მათგან, მთლიანობას სძენს ცხოვრებას და პროტაგონისტს ფსიქოსოციალური ნიშის მოძებნაში ეხმარება (Schultz, 2005).

მაკადამსის (2009) ცხოვრების ისტორიის მოდელში იდენტობა არ არის „სელფის“ ან „მე-კონცეფციის“ ანდა „ვინ ვარ მე“-ს სინონიმი. ეს უფრო ადამიანთა თვითგაგების კერძო მახასიათებელია; ეს არის გზა, საშუალება, რომლითაც შესაძლებელი ხდება მე-ს ორგანიზება და კონფიგურაცია.

გარდა ამისა, ცხოვრების ისტორია ფსიქოსოციალური კონსტრუქტია (McAdams, 2009). მისი თანაავტორები თავად პიროვნება და ის კულტურული კონტექსტია, რომელშიც ვითარდება და ცხოვრობს მთხრობელი (McLean, 2015). შესაბამისად, ინდივიდუალური ცხოვრების ისტორიები ასახავს კულტურულ ღირებულებებს და ნორმებს, გენდერთან, რასასთან და სოციალურ კლასთან დაკავშირებულ წარმოდგენებს. აქედან გამომდინარე, ცხოვრების ისტორიები გასაგები ხდება კონკრეტული კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით (McAdams, 2001; McLean, 2015).

ნარატივის სტრუქტურა

ნარატივს გააჩნია როგორც შინაარსი, ისე — სტრუქტურა. სტრუქტურის მიხედვით ნარატივები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან (ხეჩუაშვილი, ბეჭდვაში), ავტორები სხვადასხვა გზას ირჩევენ ნარატივის სტრუქტურის ანალიზისას. მაკადამსის მიერ შემოთავაზებული სტრუქტურული ანალიზი მოიაზრებს ცხოვრების ისტორიაში მაკომპენსირებელი და კონტამინაციის თანამიმდევრობის აღმოჩენას.

ნარატივისტი მკვლევრები ნარატივის ორგვარ სტრუქტურაზე საუბრობენ (McAdams, 1993, 2009; McAdams & McLean, 2013; McLean, 2015). ესენია

მაკომპენსირებელი და კონტამინაციის თანმიმდევრობა, რომელიც წინამდებარე კვლევის ერთ-ერთ ფოკუსს წარმოადგენდა.

მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის² მქონეა ნარატივი, რომელშიც ცუდ სცენას მოსდევს კარგი ეპიზოდი. ისტორია იწყება სოციალურად, ემოციურად ან მორალურად უარყოფითი სიტუაციით, რომელსაც სოციალურად, ემოციურად ან მორალურად დადებითი სიტუაცია ცვლის. მთხრობელი განიცდის ტანჯვას ან მსგავს მდგომარეობას დასაწყისში, რომელსაც საბოლოოდ დადებით შედეგამდე მიჰყავს (McAdams, 2011). მაკომპენსირებელ თანამიმდევრობას თან სდევს ერთგვარი გათავისუფლება ტანჯვისგან, უარყოფითი სცენის გამოსყიდვა ან მდგომარეობის გაუმჯობესება. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს ხელსაყრელი, სასურველი ცვლილება ცხოვრებაში, ან გაკვეთილი, რომელიც პროტაგონისტმა ცუდი მოვლენისგან ისწავლა/გამოიტანა (McAdams, 2006). მაკომპენსირებელი თანამიმდევრობით დალაგებულ ისტორიაში ცუდი ამბავი კარგად სრულდება (McAdams, 2011), ეს შეიძლება უკავშირდებოდეს ისეთი უარყოფითი ემოციების განცდას, როგორცაა შიში, დანაშაულის გრძნობა, სირცხვილი ან სასოწარკვეთა (McAdams, 2006).

მაკომპენსირებელი თანამიმდევრობის საპირისპიროა კონტამინაციის თანამიმდევრობა, როდესაც პროტაგონისტი ემოციურად პოზიტიური სცენიდან უარყოფითი შედეგისკენ ინაცვლებს. დადებითი მოვლენები მოკლევადიანია და მათ აუცილებლად ცუდი შედეგი მოჰყვება (ხეჩუაშვილი, ბეჭდვაში).

სექსუალური იდენტობა და სექსუალური ორიენტაცია

სექსუალური იდენტობა საკუთარი თავის კონკრეტული სექსუალური ორიენტაციის მქონე ინდივიდად აღქმას გულისხმობს (გაბუნია & ვაჭარაძე, 2013), ხოლო სექსუალური ორიენტაცია ინდივიდის მდგრადი ფიზიკური, რომანტიკული, ემოციური და/ან სექსუალური მიზიდულობაა სხვა ადამიანის მიმართ. მასში მოიაზრება ჰომოსექსუალური, ბისექსუალური და ჰეტეროსექსუალური ორიენტაცია (აღდგომელაშვილი, 2016).

სექსუალობის შესახებ ესენციალისტური და კონსტრუქციონისტული თეორიები არსებობს: ესენციალისტური თეორიები სექსუალობას აღწერენ, როგორც შინაგან ფსიქოლოგიურ და ბიოლოგიურ სტრუქტურას, რომელიც ადამიანის სექსუალური გრძნობების და სურვილების ორგანიზებას ახდენს და მართავს ქცევას. ეს თეორიები ეყრდნობა დაშვებას, რომ სექსუალური ორიენტაცია ბიოლოგიურად განსაზღვრული ან ცხოვრების საწყის ეტაპზე შექმნილი, მდგრადი და უცვლელი ნიშანია (გაბუნია & ვაჭარაძე, 2013). ამ მიდგომის მიხედვით, სექსუალური ორიენტაცია ადამიანის შინაგანი მახასიათებელია, რომელიც ისტორიისა და კულტურის მიღმა არსებობს ანუ არაისტორიული, უნივერსალური, კონტექსტისგან დამოუკიდებელი საფუძვლად მდებარე მახასიათებელია (DeLamater & Hyde, 1998 წყაროში Hammack 2005). ამის საპირისპიროდ, სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორიები ამტკიცებენ, რომ სექსუალური ორიენტაციის აღმწერი ისეთი კატეგორიები, როგორცაა „გეი“, „ლესბოსელი“, „ბისექსუალი“ და „ჰეტეროსექსუალი“, კონკრეტული ისტორიული, კულტურული და პოლიტიკური კონტექსტის შედეგად წარმოიშვა (მაგალითისთვის იხ., Kitzinger, 1987, წყაროში გაბუნია & ვაჭარაძე, 2013). ამ თეორიების ფარგლებში მომუშავე მკვლევრებს აინტერესებთ, როგორ ახდენენ ადამიანები საკუთარი იდენტობის

²Redemption, იხ. ხეჩუაშვილი, 2016c.

კონსტრუირებას (Flowers & Buston, 2001; Kitzinger & Wilkinson, 1995; Mason-Schrock, 1996, წყაროში გაბუნია & ვაჭარაძე, 2013). კონსტრუქციონისტები არ ამტკიცებენ, რომ შესაძლებელია სექსუალური ორიენტაციის არჩევა. მათი აზრით, ის ადამიანის სოციალური გარეგანი სახე უფროა, რომელიც ამ ინდივიდის შინაგანი სექსუალური სურვილის კატეგორიების (ან განზომილებების, გააჩნია, რომელი კლასიფიკაციის) მიხედვით აღსაწერად გამოიყენება. სხვა სიტყვებით, სექსუალური ორიენტაცია ადამიანების მიერ სურვილების აღსაწერად და გასაგებად შექმნილი სისტემაა (Hammack, 2005).

კოპლერი და ჰამაკი (2005) არაჰეტეროსექსუალურ იდენტობას განმარტავენ, როგორც კონკრეტულ სექსუალურ ისტორიას, რომელშიც საკუთარი სქესისადმი სურვილი რეალიზებული და ინტეგრირებულია ცხოვრებისეულ ისტორიაში სოციალური პრაქტიკის მეშვეობით. ჰარტმან ჰალბერტალის და კორენის (Hartman Halbertal & Koren, 2006) კვლევამ აჩვენა, რომ გეი და ლესბოსელი იდენტობის ფორმირება განსხვავებულობის ზოგადი/ზუნდოვანი გრძნობით იწყება, რომელსაც დისოციაცია და საკუთარ თავთან საკუთარი სექსუალური ორიენტაციის აღიარება (coming out) მოჰყვება. შემდეგ ჩნდება კრიზისი, რომლის დროსაც პიროვნება აცნობიერებს საკუთარ სექსუალურ იდენტობას და, საბოლოოდ, ინტეგრაციამდე და იდენტობის სინთეზამდე მიდის.

კოპლერის და ჰამაკის (2007) აზრით, არაჰეტეროსექსუალი ახალგაზრდების იდენტობის განვითარების გასაგებად ნარატივის კონსტრუირებისა და თხრობის პროცესის შესწავლაა საჭირო (Hammack, Thompson, & Pilecki, 2009). ჰამაკი მიიჩნევს, რომ სექსუალური იდენტობის განვითარება პერსონალური ნარატივის კონსტრუირებას უკავშირდება, რომელიც, თავის მხრივ, აერთიანებს სურვილებსა და ქცევას და მათ შინაარსიან/აზრიან და ადეკვატურ კონფიგურაციად აქცევს (იხ. ასევე, Hammack, 2005). ამ კონფიგურაციაში პიროვნება აზრს სძენს საკუთარ სურვილებს და საკუთარ იდენტობას ავტობიოგრაფიის დამკვიდრებით/მიღებით/დაკანონებით (ანუ კონსტრუირებული ავტობიოგრაფიის ლეგიტიმაციით) „წარმოაჩენს“.

ამერიკაში ჩატარებული ზოგიერთი კვლევის მიხედვით (Herdt & Boxer 1993; Savin-Williams 1998, წყაროში Hammack et.al. 2009), თანამედროვე ამერიკელ ახალგაზრდებს³ განვითარების პროცესში სექსუალური იდენტობის, სულ მცირე, ორ მასტერ ნარატივთან⁴ უწევთ შეთანხმება: პირველი ბრძოლისა და წარმატების მონათხრობია. ბრძოლის ნაწილი საკუთარი თავის მიღებასთან ასოცირებულ შინაგან და გარეგან გამოწვევებს უკავშირდება, ხოლო წარმატების ნაწილი — ტანჯვის და კომპენსირების შესაძლებლობას საკუთარ თავთან საკუთარი სექსუალური ორიენტაციის აღიარების საშუალებით და არაჰეტეროსექსუალთა თემში გაწევრიანებას (Hammack et.al. 2009). მეორე ნარატივს თავად კოპლერი და ჰამაკი (2007) გვთავაზობენ. ეს არის ემანსიპაციის ნარატივი, რომელიც გულისხმობს სექსუალური იდენტობის რიგიდული კატეგორიებიდან გათავისუფლებასა და საზოგადოების მხრიდან სექსუალური

³ვინაიდან ქართულ კულტურაში ჯერ არ არის ეს საკითხები ნაკვლევი, აქ მხოლოდ არსებული კვლევების შედეგების მიმოხილვით შემოვიფარგლებით.

⁴Master narrative — მოცემული კულტურის ფარგლებში არსებული საზიარო ისტორიები, რომლებიც წარმართავენ ამ კულტურაში მცხოვრებ ადამიანთა აზრებს, რწმენებს, ღირებულებებსა და ქცევებს (მაგალითად, Bamberg, 2004; Hammack, 2008; Hammack, Mayers, & Windell, 2011; Thorne & McLean, 2003, წყაროში ხეჩუაშვილი, 2016d).

სურვილის მარეგულირებელი ტიპოლოგიის შექმნის მოთხოვნისადმი კრიტიკულ მიდგომას (Foucault, 1978; Muehlenhard, 2000, წყაროში Hammack et.al. 2009).

ამერიკაში წარმოებული კვლევები აჩვენებს, რომ გეი იდენტობის გამოვლენაზე ორიენტირებული ნარატივები განსხვავებულია სხვადასხვა თაობაში, რაც გამოწვეულია არაჰეტეროსექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებულ სოციალურ და ისტორიულ ცვლილებებთან (Hartman Halbertal & Koren, 2006). გეი და ლესბოსელი ადამიანების ცხოვრების ისტორიები მნიშვნელოვნად იცვლებოდა კულტურულ-ისტორიული კონტექსტის მიხედვით, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში (Cohler, 2006; Parks, 1999; Rosenfeld, 2003; Sadownick, 1997, წყაროში Cohler & Hammack, 2006). ამ დროს დაიწყო მოძრაობა გეი უფლებების დაცვისთვის, შემდეგ იყო სტოუნუოლის ჯანყი 1969 წელს (Clendinen & Nagourney, 1999; D'Emilio, 1983/1998; Duberman, 1993, წყაროში Cohler & Hammack, 2006) და შიდსის პანდემია გეი და ლესბოსელთა საზოგადოებაში დაახლოებით 1981 წელს (Odetts, 1995; Hiltz, 1987, წყაროში Cohler & Hammack, 2006). ამ მოვლენებმა გეი მამაკაცების სამი თაობა შექმნა: (1) 1930-40 წლებში დაბადებულმა თაობამ საკუთარ თავზე იწვინა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი სოციალური კონსერვატიზმი და სტიგმა, რომელიც ხელს უწყობდა დაფარული სექსუალური იდენტობის არსებობას. (2) 1950-იან წლებში დაბადებული ადამიანები, რომლებმაც სრულწლოვანებას 1970-იან წლებში მიაღწიეს. ეს თაობა გეი იდენტობის აღიარებისა და პოლიტიკური ცვლილებების სერიის მოწმე გახდა. სამწუხაროდ, ამ თაობის გეი კაცთა უმრავლესობა შიდსის მსხვერპლი გახდა. (3) მესამე თაობა 1970-80-იან წლებში დაიბადა და 1990-იან წლებში უკვე სრულწლოვანები გათავისუფლდნენ შიდსის პრობლემისგან და ცხოვრობდნენ ათწლეულში, როდესაც ჰომოსექსუალური ორიენტაცია სექსუალური ცხოვრების ერთ-ერთი დაშვებული გზა იყო (Hostetler & Herdt, 1998 წყაროში Cohler & Hammack, 2006). 1990-იანი წლებიდან დღემდე ყალიბდება მეოთხე თაობა, რომელსაც ინტერაქციული მედიის სახით მთელ რიგ ინტერნეტ რესურსებსა და ვებ გვერდებზე მიუწვდება ხელი, სადაც გეი და ლესბოსელი ადამიანები ინახავენ საკუთარ ცხოვრების ისტორიას (Cohler, 2006 წყაროში Cohler & Hammack, 2006). ახალი ტექნოლოგიები აერთიანებს მარგინალიზებულ საზოგადოებებს და ქმნის/ხელს უწყობს ახალ ისტორიულ ცვლილებას არაჰეტეროსექსუალთა ცხოვრებისეულ გამოცდილებაში (Cohler & Hammack, 2006).

სექსუალური ორიენტაციის და, კერძოდ, ჰომოსექსუალური იდენტობის ფორმირება მუდმივი კვლევის საგანია (იხ. Cass, 1979; Coleman, 1982; Peacock, 2000; Raymond, 1994; Troiden, 1993 ; Yarhouse, 2001 წყაროში Hartman, Halbertal & Koren, 2006), მაგრამ ცოტა ნათქვამი რელიგიურ გეი და ლესბოსელთა განვითარებაზე. აიაჰმა აღმოაჩინა, რომ ბევრი ქრისტიანი არაჰეტეროსექსუალი გამოიმუშავენს დადებით იდენტობას, რომელიც სექსუალობასაც მოიცავს და რელიგიურ რწმენებსაც (Yip, 1999 წყაროში Hartman, Halbertal & Koren, 2006). სხვა კვლევაში, რომელშიც იგივე ავტორმა არაჰეტეროსექსუალი კათოლიკეები იკვლია, აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა ჰარმონიულად აერთიანებს სექსუალობას და ქრისტიანულ რწმენას (Yip, 2002 წყაროში Hartman, Halbertal & Koren, 2006), ავტორის მიხედვით, მე-ს (self) ჰარმონიული სინთეზი შესაძლებელია იმის გამო, რომ საკუთარი თავის ხედვის ძირითად ჩარჩოსა და შემადგენელ კომპონენტს ინდივიდის მე (self) წარმოადგენს და არა — რელიგიური ავტორიტეტი. ამის საპირისპიროდ, ჰარტმან ჰალბერტალის და კორენის (Hartman, Halbertal & Koren, 2006) კვლევამ აჩვენა, რომ მართლმადიდებელი ებრაელი გეი და ლესბოსელები, რომლებიც საკუთარი ორმაგი იდენტობის აღიარებას

ახერხებენ, მაინც მკაფიოდ შეიგრძნობენ ამ დუალისტურ/ორმაგ იდენტობებს. ეს შედეგი ეხმიანება ჰოლმის (1999) აღწერას, რომ არაჰეტეროსექსუალი ადამიანები რთული/კომპლექსური ჰიბრიდული ცხოვრებით ცხოვრობენ. როდესაც ადამიანები სექსუალობასა და რელიგიას შორის კონფლიქტს აწყდებიან, ისინი ნებდებიან სწავლებას, რომლისაც არ სწამთ, ან საერთოდ უარს ამბობენ რელიგიურ მემკვიდრეობაზე. სხვა სიტყვებით, ერთ შემთხვევაში მხოლოდ მანიფესტურ დონეზე ირჩევენ რელიგიას, მიჰყვებიან მას და უარს ამბობენ საკუთარი მე-ს ნაწილზე, მეორე შემთხვევაში კი საერთოდ უარს ამბობენ რელიგიაზე და ინარჩუნებენ მე-ს მთლიანობაში (Hartman Halbertal & Koren, 2006).

1970-იანი წლებიდან მკვლევრები გეი და ლესბოსელთა იდენტობის განვითარების და შენარჩუნების საკითხების შესწავლაზე მუშაობენ და ყურადღებას ამახვილებენ სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებულ სტიგმაზე (იხ. Warren 1974; Plummer 1975; Bell and Weinberg 1978; Cass 1979 წყაროში Kaufman & Johnson, 2004).

სტიგმა და სტიგმის დაძლევა

სტიგმა

სტიგმა ნეგატიური ნიშანია, რომელიც პიროვნების ღრმა დისკრედიტაციას იწვევს (ხეჩუაშვილი, 2016 (ლექსიკონი)). ის დაკავშირებულია საზოგადოებრივ იდენტობასთან და მოიაზრებს ორ ასპექტს: განსხვავებულობაზე დაფუძნებული მახასიათებლის აღმოჩენას და ამ მახასიათებლის მიხედვით პიროვნების გაუფასურებას. ეს არის ნიშანი, რომელიც პიროვნებას არ აღიარებულს ხდის (Heatherton, Kleck, Hebl, & Hull, 2003), გამოარჩევს რა გარკვეული მახასიათებლით და აუფასურებს პიროვნებას ან ჯგუფს, განურჩევლად იმისა, სტიგმიდან გამომდინარე იარლიყები შეესაბამება თუ არა რეალობას. ის კავშირშია ისეთ ნეგატიურ პიროვნულ და სოციალურ მახასიათებლებთან, როგორცაა მარგინალობა და დევიანტობა. სტიგმის არსებობა განაპირობებს სოციალურ გარიყვას, უარყოფას, რაც, თავის მხრივ, ფსიქიკურ კეთილდღეობას უქმნის საფრთხეს, მაგრამ არ უნდა გამოირიცხოს ფიზიკური ზიანის საშიშროებაც, იქნება ეს პირდაპირი თუ ირიბი გზით: ჯანდაცვაზე, საცხოვრებელ პირობებზე, დასაქმებასა თუ განათლებაზე წვდომის შეზღუდვით.

გოფმანი (Goffman, 1963, წყაროში Heatherton, et.al., 2003) გამოყოფს სტიგმის სამ სახეს: ზიზღი სხეულის მიმართ, რომელიც მოიაზრებს ფიზიკურ ნაკლოვანებას; „პიროვნული მახასიათებლის ნაკლი“ (ფსიქიკური აშლილობები, მავნე ჩვევები და მათზე დამოკიდებულება) და „ჯგუფური იდენტობა“ (რასა, სქესი, რელიგია, ეროვნება) (Heatherton et.al. 2003). სტიგმა, რომელიც უკავშირდება სექსუალურ ორიენტაციას, სექსუალობის სტიგმის (sexual stigma) სახელით მოიხსენიება და შეიძლება მიეკუთვნოს ნებისმიერ არაჰეტეროსექსუალურ ქცევას, იდენტობას, ურთიერთობას ან საზოგადოებას (Herek, 2009 წყაროში Glassgold et.al., 2009).

კროკერი და კოლეგები (Crocker et al., 1998, წყაროში Heatherton, et.al., 2003) სტიგმის მნიშვნელოვან მახასიათებლებად ხილვადობას და მართვადობას ასახელებენ. ხილვადობა ნიშნავს, რამდენად გამოხატულია გარეგნულად უარყოფითად შეფასებული მახასიათებელი, ხოლო მართვადობა მოიაზრებს პიროვნების პასუხისმგებლობას ამ მახასიათებელზე ანუ თანდაყოლილია თუ შექმნილი ეს უკანასკნელი. თუ მახასიათებელი გარშემომყოფებს მართვადი ჰგონია, მაშინ ამ მახასიათებლის მქონე პიროვნება მეტადაა უარყოფილი (Heatherton, et.al., 2003).

კროკერი და მისი კოლეგები (Crocker et al., 1998, წყაროში Heatherton, et.al., 2003) სტიგმის ნეგატიურ შედეგზე — დისკრიმინაციაზე საუბრობენ. ისინი თვლიან, რომ სტიგმატიზირებული ადამიანი დაცინვის და ძალადობის ობიექტი ხდება, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო ამძაფრებს სტიგმას. ამ დროს უფასურდება სოციალური იდენტობა და, აქედან გამომდინარე, თვითშეფასებას ექმნება საფრთხე. სტიგმას თან სდევს ორაზროვნება: სტიგმატიზირებული პირის მიმართ ყოველთვის არ გამოხატავენ ანტიპათიას, რაც მისთვის სიტუაციას კიდევ უფრო ბუნდოვანს და სტრესულს ხდის (Heatherton, et.al., 2003). შესაბამისად, სტიგმა მუდმივი გარიყულობის, სტრესის და დისკრიმინაციის წყაროა, რომელიც ხელს უწყობს სოციალური არაადაპტურობის განვითარებას (მესტვირიშვილი, 2015).

სტიგმის დაძლევის ფორმები

დაძლევის ლაზარუსი და ფოლკმანი (Lasarus & Folkman, 1984, წყაროში Heatherton, et.al., 2003) განმარტავენ, როგორც პიროვნების მუდმივად ცვალებად კოგნიტურ და ქცევით ძალისხმევას, მართოს სპეციფიკური შინაგანი და/ან გარეგანი მოთხოვნები, რომლებიც შეფასებულია როგორც დამატებითი ტვირთი ან აღემატება პიროვნების რესურსებს. სტიგმის დაძლევის რამდენიმე გზა არსებობს. პრობლემაზე ფოკუსირებული დაძლევის ერთ-ერთი მეთოდი შეიძლება მიმართული იყოს საკუთარ თავზე, სხვებზე ან სიტუაციაზე. მე-ზე (self) მიმართული დაძლევა მოიაზრებს მე-ს რომელიმე ასპექტის ცვლილებას ან დაფარვას, რაც შეამცირებს სტიგმის გავლენით უარყოფითი ურთიერთობის ჩამოყალიბებას. სხვებზე მიმართული დაძლევა გულისხმობს სხვების შეცვლის მცდელობას ისე, რომ არ გააუფასურონ სტიგმატიზირებული პიროვნება და მისი სოციალური სტატუსი. სიტუაციაზე მიმართული სტრატეგია გულისხმობს სიტუაციის სტრუქტურირებას ისე, რომ სტიგმამ არ იმოქმედოს ნეგატიურად პიროვნებაზე. ეს სტრატეგიები გამოიყენება ცალ-ცალკე ან ერთდროულად და ემსახურება სტიგმატიზირებული პირების და გარემოს ურთიერთობაში ცვლილებების შეტანას (Heatherton, et.al., 2003).

ემოციაზე ფოკუსირებული დაძლევისას ხდება უარყოფითი ემოციების რეგულირება, უარყოფითი ეფექტის შემცირება და თვითშეფასების დაცვა სტრესორებისგან. მაგალითად სოციალური შედარება სხვა სტიგმატიზირებულებთან ხელს უწყობს უარყოფითი ემოციების რეგულაციას და თვითშეფასების დაცვას. ემოციაზე ფოკუსირებული დაძლევა ემოციის ატრიბუციასაც მოიცავს, რაც ნეგატიური შედეგების გარე ფაქტორებზე მიწერას გულისხმობს. მე-კონცეფციის რესტრუქტურირებისას კი ნაკლებ განვითარებული ნიშნების გაუფასურება, და სელფის განვითარებული ნიშნების ღირებულების გაზრდა ხდება (Heatherton, et.al., 2003), რაც ეხმარება სტიგმატიზირებულ პირს თვითშეფასების დაცვასა და ნეგატიური ეფექტის შემცირებაში.

სტიგმის დაძლევის სტრატეგიები

ფსიქოლოგიური პერსპექტივიდან, ადამიანები სტრესულ მოვლენებს ორი ცენტრალური მედიატორით — კოგნიტური შეფასებით და დაძლევით — უმკლავდებიან (იხ. Bandura, 1977, 1982; Lasarus & Folkman, 1984 წყაროში Heatherton, et.al., 2003). ლაზარუსის და ფოლკმანის დაძლევის თეორიაში (1984) სტიგმასთან დაკავშირებული სტრესის დაძლევისას ინდივიდი შემდეგ საფეხურებს გადის: კოგნიტური შეფასება, როდესაც პიროვნება აფასებს კონკრეტულ სტიგმის გამომწვევ სიტუაციას და გამკლავება, როდესაც ხდება სტიგმის დაძლევის ხერხების განსაზღვრა

და შემუშავება (Heatherton, et.al., 2003). იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც მნიშვნელოვანია სტიგმით გამოწვეულ სტრესთან გამკლავებაში, გამოიყო შემდეგი სამი მოდერატორი: ჯგუფური იდენტობა, სტიგმის დაფარვა და გაცნობიერებული კონტროლი (Heatherton, et.al., 2003).

თუ სტიგმა ჯგუფურ იდენტობასთან ასოცირდება, სტიგმატიზირებული ადამიანები, სავარაუდოა, რომ მეტად დაუახლოვდნენ ამავე სტიგმის მქონე ჯგუფის წევრებს, ეს დაეხმარებათ შეიქმნან ნაკლებ სტრესული გარემო, მიიღონ სოციალური მხარდაჭერა და სტიგმის შედეგები მიაწერონ ცრურწმენებს, ვიდრე პიროვნულ მახასიათებლებს. მეორე მხრივ, თუ სტიგმის მიზეზი აშკარა არაა, ის შეიძლება დაიფაროს და არ გამომჟღავნდეს. ასეთ შემთხვევაში სტიგმატიზირებული ადამიანები ნაკლებ სოციალურ მხარდაჭერას მოელიან მსგავსი სტიგმის მქონე ადამიანებისგან (Heatherton, et.al., 2003). რაც შეეხება გაცნობიერებულ კონტროლს, ეს ცვლადი განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად იქნება სტიგმასთან გამკლავების მცდელობა ფოკუსირებული პრობლემაზე თუ ემოციაზე. როცა პიროვნება ფიქრობს, რომ შეუძლია სტიგმით გამოწვეული პრობლემის კონტროლი, ის ორიენტირებულია თავად პრობლემაზე. ხოლო ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ სტიგმას ვერ აკონტროლებენ, ემოციის რეგულაციაზე ფოკუსირდებიან (Heatherton, et.al., 2003). სტიგმატიზირებული ადამიანები გაცნობიერებული კონტროლის საშუალებით ირჩევენ ისეთ სტრატეგიებს, როგორცაა საკუთარი თავის შეცვლაზე და სხვების წარმოდგენებზე დაფუძნებულ უკუკავშირზე მიმართული ხერხები (Heatherton, et.al., 2003). სხვა სიტყვებით, ადამიანები ცდილობენ შეცვალონ საკუთარი წარმოდგენები სტიგმის შესახებ, ასევე სხვათა წარმოდგენები და ცრურწმენები, რომლებიც ხელს უწყობენ სტიგმის გაძლიერებას.

კვლევის მიზნები

კვლევა მიზნად ისახავს პერსონალური ნარატივის სტრუქტურის და სტიგმის დამძლევის ურთიერთმიმართების დადგენას. ასევე, არაჰეტეროსექსუალი ადამიანების პერსონალურ ნარატივებში სხვა ისეთი თემატური ხაზებისა და ინდიკატორების მოძიებას, რომელიც უკეთ დაგვეხმარება სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული დაბრკოლებების, ოჯახთან ურთიერთობის და რელიგიასთან დაკავშირებული შეხედულებების აღწერასა და გაგებაში.

მეთოდი

მიუხედავად იმისა, რომ სტატიაში აღწერილი მონაცემები შერეული მეთოდოლოგიით წარმოებული კვლევის ფარგლებში იქნა მიღებული, აქ მხოლოდ თვისებრივი ნაწილია წარმოდგენილი. შესაბამისად, შედეგების აღწერისა და ინტერპრეტაციის ნაწილი განუყოფელია და მხოლოდ თვისებრივ ანალიზს მოიცავს, რომელიც გაჯერებულია ვრცელი ამონარიდებით კვლევის მონაწილეთა ინტერვიუებიდან.

მონაწილეები

კვლევაში მონაწილეობდა არაალბათურად, „თოვლის გუნდის“ პრინციპით შერჩეული 16 ადამიანი (საშუალო ასაკი = 22,8 (4.6) წელი, დიაპაზონი 17 – 34 წელი), რომელთაგან 7 ქალი იყო.

ინსტრუმენტი

ცხოვრების ისტორიის ინტერვიუ მაკადამსის (McAdams, 1993; ხეჩუაშვილი, 2016c) მიხედვით არის ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ, რომელიც მოიცავს წინასწარ გაწერილ ღია კითხვებს ცხოვრებისეული მოგონებების შესახებ. თავდაპირველად კვლევის მონაწილე საკუთარ ცხოვრებას თავებად ყოფს, ასათაურებს და მოკლედ აღწერს თითოეულ მათგანს. შემდეგ დეტალურად იხსენებს კონკრეტულ მოგონებებს იხსენებს, როგორცაა პიკური, უარყოფითი და გადამწყვეტი გამოცდილება: რა ხდებოდა, ვინ იყო მასთან ერთად, რას გრძნობდა და ფიქრობდა ამ დროს; რა მნიშვნელობა აქვს ამ ამბავს მის ცხოვრებაში. ინტერვიუ, ასევე, მოიცავს ცხოვრებისეული გამოწვევების, ჯანმრთელობის, დანაკარგის, პიროვნული იდეოლოგიის და მომავლის თემებს. ინტერვიუს ხანგრძლივობა დაახლოებით 2 საათია. როგორც წესი, კეთდება აუდიო ჩანაწერი და შემდეგ იწერება ტრანსკრიპტი (ხეჩუაშვილი, 2016c).

პროცედურა

ინტერვიუს ჩაწერამდე მონაწილეებს ზეპირი სახით მიეწოდებოდათ დეტალური ინფორმაცია ანონიმურობისა და კონფიდენციალობის შესახებ, ასევე კვლევის მიზნის, ინტერვიუს შინაარსის, სავარაუდო ხანგრძლივობის და აუდიოჩანაწერის გაკეთების შესახებ, თანხმობის შემთხვევაში იკრიფებოდა მცირე დემოგრაფიული მონაცემები (ასაკი და სქესი) და შემდეგ იწერებოდა თავად ინტერვიუ (მეტი დეტალებისთვის იხ. ხეჩუაშვილი, 2016c).

ინსტრუქციის შემდეგ წარმოდგენილი იყო უფრო კონკრეტული კითხვები, რომლებიც ეხებოდა წარსულიდან საკვანძო მომენტებს, მომავლის გეგმებს, ცხოვრებისეულ გამოწვევებს, ღირებულებებს და იდეოლოგიას.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ინტერვიუს დაემატა სამი კითხვა მესტვირიშვილის (2015) კვლევიდან, რომელიც სექსუალურ ორიენტაციას და სტიგმას შეეხებოდა: (1) გირჩევნიათ თუ არა, რომ სხვა ადამიანებმა არ იცოდნენ თქვენი სექსუალური ორიენტაციის შესახებ? რატომ? (2) ზოგჯერ ადამიანები საკუთარ თავს აღიქვამენ უღირსად, გამოუსადეგარად და გაუფასურებულად სექსუალური ორიენტაციის გამო. თქვენ ოდესმე თუ გქონიათ ასეთი გრძნობა? როდის? გაიხსენეთ ეს ეპიზოდი. (3) თუ გიგრძნიათ სხვა ადამიანებისგან (თუ მათ იციან თქვენი ორიენტაციის შესახებ) დამამცირებელი მოპყრობა, აბუჩად აგდება? როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი?

ადგილი და ხანგრძლივობა. 13 ინტერვიუ ჩაიწერა „იდენტობის“ ოფისში, 3 ინტერვიუ — კვლევის მონაწილეებისთვის მოსახერხებელ ადგილას (სახლსა და კაფეში). კვლევის მონაწილეთა ნაწილთან დაკავშირება „იდენტობის“ ოფისის ერთ-ერთი წარმომადგენლის მეშვეობით მოხდა, რის შემდეგაც, თანხმობის შემთხვევაში, მისთვის სასურველ დროსა და ადგილზე იწერებოდა ინტერვიუ.

თითოეულ მონაწილესთან შეხვედრა საშუალოდ 1.5-2 საათი გრძელდებოდა. თუმცა ზოგიერთი ინტერვიუს ხანგრძლივობა ერთ საათს შეადგენდა, ზოგი კი 2.5 საათი გაგრძელდა, კვლევის მონაწილის სურვილის და თვითრეფლექსიის შესაძლებლობიდან გამომდინარე.

ნარატივების კოდირება

ტრანსკრიპტები გადაკოდირდა მაკომპენსირებელი თანამიმდევრობის კოდირების გზამკვლევის ქართული მოდიფიცირებული ვერსიის მიხედვით (ხეჩუაშვილი, 2016c). ცვლადების ოპერაციონალიზაციაზე შეთანხმების შემდეგ შემუშავდა კოდირების სახელმძღვანელო და ნარატივებში გადაკოდირდა კონტამინაციის თანამიმდევრობა, სტიგმა და სტიგმის დაძლევის სტრატეგიები. კოდირების სანდოობის შესამოწმებლად მეორე მკვლევარმა გადააკოდირა 14 ინტერვიუ სამივე ცვლადის მიხედვით.

გადაკოდირებული მოგონებები. თითოეული ცვლადისთვის ანალიზის ერთეულს წარმოადგენდა კონკრეტული მოგონება ანუ ეპიზოდი ცხოვრების ისტორიიდან. თითოეული ინტერვიუდან გადასაკოდირებლად შეირჩა 12 მოგონება: პიკური გამოცდილება, ყველაზე უარყოფითი გამოცდილება, გარდამტეხი მოვლენა, ბავშვობის დადებითი მოგონება, ბავშვობის უარყოფითი მოგონება, ზრდასრულობის ცოცხალი მოგონება, სიბრძნის ეპიზოდი, რელიგიური/სპირიტუალური გამოცდილება, ცხოვრების გამოწვევა, ჯანმრთელობის, დანაკარგის და სინანულის ეპიზოდები. კოდირებისთვის დაემატა 3 კითხვა სტიგმატიზაციის შესახებ. სულ ჯამში გადაკოდირდა (16x15) 240 მოგონება.

მაკომპენსირებელი თანამიმდევრობა. თუ ნარატივში ექსპლიციტურად იყო გადმოცემული უარყოფითი ამბიდან/მოვლენიდან დადებითზე გადასვლა, მაშინ ის ითვლებოდა მაკომპენსირებელი თანამიმდევრობის მქონედ და ენიჭებოდა კოდი „1“ (დამკვირვებელთა შორის თანხმობის ჯამური კოენის კაპა = .95): კვლევის მონაწილის აზრით, (ა) უარყოფითი მოვლენა ან ეპიზოდი იწვევდა დადებით მოვლენას ან ეპიზოდს („ოჯახთან მქონდა კონფლიქტი. მაგრამ ვთვლი, თუნდაც ოჯახის წევრების გულის ტკენის ფასად... მაინც ძალიან დადებითის მომტანია, რადგან პიროვნულად დამოუკიდებელი გავხდი“) ან (ბ) უარყოფითი მოვლენა უშუალოდ დროში უსწრებდა დადებით მოვლენას (“გამიკეთეს ოპერაცია. კარი რომ გაიღო, დავინახე მამაჩემი ტიროდა, და მივხვდი, რომ ვუყვარვარ და იმიტომ ტირის“). თუ ნარატივში ასეთი თანამიმდევრობა არ იყო, ნარატივს ენიჭებოდა კოდი „0“.

მაკომპენსირებელი თანამიმდევრობის ქვეკატეგორიები. თუ ნარატივში ფიქსირდებოდა მაკომპენსირებელი თანამიმდევრობა, იძებნებოდა მისი ქვეკატეგორიებიც, კერძოდ: გაუმჯობესებული აგენტობა, გაუმჯობესებული ურთიერთკავშირი და მასშტაბური საფიქრალეები. თუ კვლევის მონაწილე ცხადად საუბრობდა რომელიმე ასპექტის გაუმჯობესებაზე, ნარატივს ენიჭებოდა დამატებით კოდი „1“: (1) გაუმჯობესებული აგენტობა (კოენის კაპა=1), თუ უარყოფითიდან დადებითისკენ შეცვლილი მოვლენის/ამბის შედეგად უმჯობესდებოდა მთხრობელის პირადი ძალაუფლება ან აგენტობა; (2) გაუმჯობესებული ურთიერთკავშირი (კოენის კაპა=0), თუ უარყოფითიდან დადებითისკენ შეცვლილი მოვლენის/ამბის შედეგად უმჯობესდებოდა კვლევის მონაწილის ინტერპერსონალური ურთიერთობები; (3) მასშტაბური საფიქრალეები (კოენის კაპა=.90), როდესაც უარყოფითიდან დადებითისკენ ტრანსფორმირებული სიტუაციის შედეგად კვლევის მონაწილე ფიქრს იწყებდა ეგზისტენციალურ საკითხებზე. საბოლოოდ, თითოეულ მოგონებას ენიჭებოდა 0-დან

4-მდე კოდი, გამომდინარე იქიდან, იყო თუ არა ნარატივში მაკომპენსირებელი თანამიმდევრობა და მისი ქვეკატეგორიები.

ნარატივების შინაარსობრივი მხარე. მოგონებები მაკომპენსირებელი თანამიმდევრობით შინაარსის მიხედვითაც გადაკოდირდა (კოენის კაპა=.89). შინაარსობრივი მხარე გადაკოდირდა მაკადამსის მოდელიდან აღებული შინაარსობრივი განზომილებების მიხედვით. ესენია: მსხვერპლის გაღება („მეგობრებმა მიმატოვეს, მაგრამ როცა დახმარება დასჭირდათ, გვერდში დავუდექი და წყენა დავივიწყე“), გამოჯანმრთელება/გამოკეთება („მეოთხე სართულიდან გადმოვვარდი, ტრავმა მივიღე, მაგრამ გამოვჯანმრთელდი“), ზრდა-განვითარება („ოჯახის წევრებთან მქონდა კონფლიქტი, რის შემდეგაც მივხვდი დამოუკიდებლობის ფასს“), სწავლა (მოგზაურობისას ფული მომპარეს, ამის შემდეგ გავხდი უფრო წინდახედული“), გაუმჯობესება/აღმავალი მოძრაობა („ბევრი ვიშრომე, ბრმად ჩავდე ინვესტიცია საქმეში, საბოლოოდ გავიმარჯვე დაჯილდოებაზე“), ემანსიპაცია/გათავისუფლება („ქამინგ აუთის შემდეგ მქონდა სტრესი, მაგრამ ნელ-ნელა ვისწავლე საკუთარი ცხოვრების მართვა და სტრესისგან თავის დაღწევა“).

კონტამინაციის თანამიმდევრობა. როდესაც ნარატივში ექსპლიციტურად იყო გამოხატული დადებითი ან დამაკმაყოფილებელი მდგომარეობიდან უარყოფითზე გადასვლა, კონკრეტული მოგონება ითვლებოდა კონტამინაციის თანამიმდევრობის მქონედ და ენიჭებოდა კოდი „1“. კონტამინაციის თანამიმდევრობა კოდირდებოდა, თუ ნარატივში მოთხრობილი კარგიდან/დამაკმაყოფილებელიდან ცუდ მდგომარეობაზე გადასვლა ქრონოლოგიური დროის შესაბამისი იყო („მყავდა ბევრი მეგობარი, მქონდა ძალაუფლება, „ქამინგ აუთის“ შემდეგ დავრჩი მარტო, დავკარგე ყველაფერი“). თუ, მაგალითად, კვლევის მონაწილე იხსენებდა ჯერ მოზრდილობის დადებით ეპიზოდს, ხოლო შემდეგ ბავშვობის უარყოფით მოგონებას, ეს ნარატივი არ კოდირდებოდა კონტამინაციის თანამიმდევრობით.

კონტამინაციის თანამიმდევრობის შინაარსობრივი მხარე. კონტამინაციის თანამიმდევრობის მქონე მოგონებებს შინაარსობრივი მხარის მიხედვითაც ენიჭებოდა კოდი. კოდირება ხდებოდა მაკადამსის მოდელიდან აღებული შინაარსობრივი განზომილებების მიხედვით: მსხვერპლის როლი („სკოლაში არავის დაუცინია ჩემთვის, შემდეგ გადმოვიდა ახალი მოსწავლე და ყოველ დღე აბუჩად მიგდებდა, ბოლო წელი აღარ მინდოდა სკოლაში სიარული), ღალატი („მეგობარს ყველა საიდუმლოს ვუბნებოდი, გავიგე რომ ჩემზე იჭორავა“), დანაკარგი („ბებია, რომელმაც გამზარდა და ჩემი მეორე დედა იყო, გარდაიცვალა“), მარცხი („დარწმუნებული ვიყავი, რომ მოვიგებდი, ყველა მიწინასწარმეტყველებდა წარმატებას, მაგრამ პრიზი სხვას გადასცეს“), ფიზიკური ან ფსიქიკური ავადმყოფობა/ტრავმა („ყოველთვის ჯანმრთელი ვიყავი, მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ სტრესი მივიღე და დეპრესია დამეწყო“), იმედგაცრუება („ველოდებოდი, რომ დიპლომის აღება უბედნიერესი მომენტი იქნებოდა, იმედი გამიცრუვდა, იმ დღეს უბედური ვიყავი“), ილუზიის გაქრობა („ჩემი მეგობარი საუკეთესო მეგონა, აღმოჩნდა, რომ მატყუარა და ღვარძლიანი ადამიანია“), სექსი („ძალიან მიყვარდა, ის ღამე ერთად გავატარეთ, მაგრამ მეორე დღით ეს საშინელ შეცდომად მომეჩვენა და თავი დამნაშავედ ვიგრძენი“).

სტიგმა. ხელთ არსებული 240 მოგონება გადაკოდირდა სტიგმატიზაციის ექსპლიციტური მაგალითების მიხედვით. მოგონებას, რომელშიც კონკრეტული ნიშნის (ამ შემთხვევაში სექსუალური ორიენტაციის და მასთან დაკავშირებული ნიშნების: ჩაცმულობა, ქცევა, გარეგნობა) მიხედვით დაცინვა, აბუჩად აგდება, ფიზიკური თუ

ფსიქოლოგიური ძალადობა იყო აღწერილი, ნარატივს ენიჭებოდა კოდი „1“ („ჩემმა უფროსმა იცოდა, რომ ლესბოსელი ვარ, და ხშირად მეუბნებოდა, შე „ელგებტე“, როგორ აგიყვანე საერთოდ სამუშაოზე“). იმ შემთხვევაში, თუ მასში მოცემული იყო თვითსტიგმატიზაცია ან უარყოფითი გამოცდილება, რომელიც არ უკავშირდებოდა სპეციფიკურ მახასიათებელს (სექსუალურ ორიენტაციას და მასთან დაკავშირებულ ნიშნებს), ეს მოგონება არ კოდირდებოდა, როგორც სტიგმის შემცველი, ვინაიდან ეს სცილდებოდა მოცემული კვლევის ფარგლებს (და ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს).

სტიგმის დაძლევის ფორმები. მოგონებები გადაკოდირდა სტიგმის დაძლევის ფორმების მიხედვით. ნარატივს, რომელშიც წარმოდგენილი იყო პრობლემაზე ფოკუსირებული ან ემოციაზე ფოკუსირებული დაძლევა, ენიჭებოდა კოდი „1“. თუ კვლევის მონაწილე ყვებოდა რომ დაძლია სტიგმა საკუთარი თავის, სხვების ან სიტუაციის შეცვლის შედეგად, მაშინ კოდი ენიჭებოდა პრობლემაზე ფოკუსირებულ დაძლევას („მამაჩემი გაქანებული ჰომოფობიიდან გადმოვიყვანე უფრო მომღებლორ შეხედულებებზე“). თუ კვლევის მონაწილე აღწერდა რომ დაძლია სტიგმა უარყოფითი ემოციების რეგულირებით, თვითშეფასების დაცვით, სოციალური შედარებით სხვა სტიგმატიზირებულ და არასტიგმატიზირებულ ადამიანებთან, მაშინ კოდი ენიჭებოდა ემოციაზე ფოკუსირებულ დაძლევას („ვიცოდი, რომ კლასელები დამცინოდნენ ბიჭური მანერების გამო, ამიტომ ბანკეტზე არ წავედი“).

სტიგმის დაძლევის სტრატეგიები. იმის მიხედვით, თუ რომელი სტრატეგია იყო ექსპლიციტურად გადმოცემული ნარატივში, კოდირდებოდა სტიგმის დაფარვა, ჯგუფური იდენტობა და გაცნობიერებული კონტროლი. თუ მთხრობელი ვერბალურად გადმოსცემდა ამბავს, სადაც ფიქსირდებოდა სტიგმის დაფარვა, ნარატივს ენიჭებოდა კოდი „1“ (თუ ვიცი, რომ საფრთხე მექმნება, ნიღაბს ვიფარებ და ვმაღავ ჩემს ორიენტაციას“), ჯგუფური იდენტობის შემთხვევაში- კოდი „2“ (ჩემივე ორიენტაციის ხალხი რომ გავიცანი, უფრო ადვილად მოვერიე უარყოფით ემოციებს“), გაცნობიერებული კონტროლის არსებობისას - კოდი „3“ („მივხვდი, რომ მე კი არ ვარ ცუდი ადამიანი, არამედ მათ აშინებთ სიახლე და არ იციან როგორ მოიქცნენ ამ შემთხვევაში“).

თემატური ანალიზი

გადაკოდირებული ნარატივებისა და თემატური ანალიზის კომბინირებული გაანალიზების შედეგად გამოდიფერენცირდა ის საკითხები, რომლებიც თექვსმეტივე ინტერვიუში ან მათ უმრავლესობაში იყო აღწერილი. შემდეგ მოხდა თითოეული თემის სახელდება.

შედეგების აღწერა და ინტერპრეტაცია

ნარატივების სტრუქტურული ანალიზი

მაკომპენსირებელი თანამიმდევრობა

თითოეულ ნარატივში ერთი ამბავი მაინც არის მაკომპენსირებელი თანამიმდევრობით. სულ მცირე 1, მაქსიმუმ 11 ამბავი ერთ ცხოვრების ისტორიაში მაკომპენსირებელი თანამიმდევრობითაა დალაგებული. კვლევის მონაწილეები ყვებიან ნეგატიური აფექტის მქონე გამოცდილების, ჯანმრთელობის პრობლემისა თუ

ცხოვრებისეული გამოწვევის შეახწმ, რომელსაც დადებითი შედეგით, გამოჯანმრთელებით ან პიროვნული ზრდით და გაუმჯობესებით აკომპენსირებენ.

მაკომპენსირებელი თანამიმდევრობის მქონე ზოგიერთი ამბავი ეხება ინტერპერსონალურ ურთიერთობებში არსებულ პრობლემებს, რომლის შემდეგაც მთხრობელები პიროვნულად იზრდებიან, უმჯობესდებიან, სწავლობენ საკუთარი თავის ფასს, მეტად ხედავენ საკუთარ ძლიერ მხარეებს და ნეგატიური გამოცდილებიდან გამოაქვთ დადებითი შედეგი.

როცა დავშორდი შეყვარებულს, ...ექვსი თვის განმავლობაში ყველა სისულელე გავაკეთე მგონი, რაც კი შეიძლებოდა გამეკეთებინა და ... ვისწავლე ის, რომ რაღაცები არ უნდა დავთმო და ვისწავლე და გავიაზრე ის, რომ... უბრალოდ ბევრს არ უნდა მისცე იმის უფლება, რომ გაგაფუჭოს და თავზე გადაგიაროს. ამიტომ, შესაბამისად, ცოტა უხეში გავხდი (მდედრობითი, 19 წლის).

კვლევის ორი მონაწილე საუბრობს წამალდამოკიდებულებაზე, რომელიც წარმატებით დაძლიეს მეგობრების და მნიშვნელოვანი სხვების დახმარებით, რის შემდეგაც გააცნობიერეს არსებული პრობლემები, მიხვდნენ რომ კარგავდნენ დროს და იქცეოდნენ სუსტი ადამიანებივით.

როცა ვიყავი კაიფში, უბრალოდ აღარ ვფიქრობდი... როგორც კი ტაბლეტებს გავანებე თავი და გადავწყვიტე, რომ რის გამოც ძალიან სუსტი ადამიანივით ვიქცეოდი და ვის გამოც ვსვამდი.. ანუ სინამდვილეში იმის გამო ვსვამდი, რომ საკუთარ თავს ვერ ვპატიობდი იმას, რომ ჩემი დებილური ხასიათის გამო დავკარგე ვიღაც და ვერ ვაცნობიერებდი იმას, რომ კი არ დავკარგე, რეალურად უბრალოდ მორჩა... ანუ გაცნობიერების პრობლემა იყო. იმისთვის თუ მორჩა, შენც უნდა შეწყვიტო ყველაფერი (მდედრობითი, 19 წლის).

კვლევის მონაწილეები საუბრობენ ქამინგ აუთის სტრესულ პროცესზეც, რომელსაც საბოლოოდ მოყვება ერთგვარი გათავისუფლება, მეგობრების მიერ მათი სექსუალური ორიენტაციის მიღება, მშობლების/ნათესავების ნეგატიური დამოკიდებულების ცვლილება და/ან დამოუკიდებლობის შექმნა.

ოჯახთან რომ მომიწია ქამინგ აუთი, ეგ იყო ჩემთვის ყველაზე ცუდი იმიტომ, რომ ყველაზე სტრესული იყო და ყველაზე პრობლემური საკითხი... ამ საკითხმა უფრო მეტი დამოუკიდებლობა მომცა შინაგანი და უფრო მეტად ვთვლი, რომ ჩემი ცხოვრების მართვა ჩემგან გამომდინარე ხდება, პირველ რიგში, და მე უნდა მივიღო გადაწყვეტილება და საკუთარი სურვილის მიხედვით შემიძლია ვიცხოვრო (მდედრობითი, 22 წლის).

კვლევის მონაწილეები, რომლებიც ქამინგ აუთისას ვერ იღებენ გარშემო არსებული საზოგადოებისგან მხარდაჭერას ან მიმღებლობას, ნაბიჯს დგამენ დამოუკიდებლობისკენ. ზოგიერთი მათგანი გადადის საცხოვრებლად სხვა ქალაქში, იწყებს მარტო ცხოვრებას, ან ხვდება დამოუკიდებლობის ფასს და იწყებს ამგვარად ცხოვრებას.

მაშინ მივხვდი, რომ ეხლა შეიძლება მოვკვდე... ისე ცუდად ვარ, რომ აი, რომ ნატრობ, აი, გასკდეს ეხლა და ჩამიტანოს, აქ არ ვიყო და რა კარგი იქნებოდა, მკვდარი ვიყო... და თან ეს არ იყო ერთი წამი. დიდხანს მიდიოდა, სანამ ვლაპარაკობდით... მანდედან მოყოლებული, ალბათ, შევიცვალე ძალიან ანუ მივხვდი, რა აუცილებელია, რომ გავხდე დამოუკიდებელი და დამოუკიდებელი არა მხოლოდ ფინანსური თვალსაზრისით, ანუ ემოციურად განცალკევდე ოჯახიდან, ჩემი ოჯახისგან (მამრობითი, 34 წლის).

მაკომპენსირებელი თანამიმდევრობითაა დალაგებული მონათხრობები, რომლებშიც კვლევის მონაწილე ან მისთვის ახლობელი ადამიანი ჯანმრთელობის

პრობლემის წინაშე დგას. გამოჯანმრთელებას მეგობრების და ახლობელი ადამიანების მხარდაჭერით/ თანადგომით ან დამოუკიდებელი ძალისხმევით აღწევს.

[ავადმყოფობის გამოცდილებამ] გამაძლიერა 100 %-ით იმიტომ, რომ ვიცი, უნდა ვიბრძოლო, ვიცი, რომ სიცოცხლეს ფასი აქვს, რომ არანაირად არ უნდა დავკარგო ის საჩუქარი, რაც მშობლებმა მაჩუქეს -- ცხოვრება... ეს ძალიან ძვირფასი საჩუქარია, რომელიც არ უნდა დავკარგო (მამრობითი, 25 წლის).

კვლევის მონაწილეებს, რომლებსაც ჰქონდათ სუიციდის სურვილი, ან მცდელობა, ძლევენ ამ სურვილს, და მეტად აფასებენ საკუთარ სიცოცხლეს, მეტ ღირებულებას ხედავენ საკუთარ თავში.

...[მეგობარმა] ჯიბეებში ჩამიყო ხელი და ნახა, რომ წამლის „პლასტინები“ იყო ცარიელი, მე ვითიშები, შემომილაწუნა და თითებს მითხრის პირში, რომ ვარწყიო, ამასობაში მოვიდა სასწრაფო. გამიკეთეს გამორეცხვა... იმის შიშით, რომ ჰოსპიტალიზაცია არ მოეხდინათ, დავწერე განცხადება, რომ ეს იყო უბრალო ინტოქსიკაცია... მერე მივხვდი, რომ ეს სისულელეა, არავინ და არაფერი ღირს იმაზე ძვირად, ვიდრე სიცოცხლე. არავინ უნდა გიყვარდეს შენ თავზე მეტად. დღეს ჩემი თავი ძალიან მიყვარს... ეგოისტურად ჟღერს, მაგრამ მე თუ არ მეყვარება ჩემი თავი, სხვა არავინ შემეყვარებს. მე ვცხოვრობ ჩემთვის და ვიბრძვი ჩემთვის. მე თუ კარგად ვიქნები, ჩემი მეგობრებიც კარგად იქნებიან და ჩემი ოჯახი — მით უმეტეს (მამრობითი, 25 წლის).

კვლევის მონაწილეები მაკომპენსირებელი თანამიმდევრობით ყვებიან ისეთ ცხოვრებისეულ გამოცდილებებსაც, რომლებიც ეხება სასწავლებელში, სამსახურში, კონკურსში წარუმატებლობას. ისინი ძლევენ წინაღობებს და პოულობენ დადებით შედეგს ან გამოსავალს უარყოფითი ხასიათის სცენებიდან.

სამი თვის განმავლობაში ვიმუშავე ბიოლოგიის მასწავლებლად სკოლაში დაა.. მივხვდი, რომ ვერ შევძელი. მე მქონდა დიდ ბავშვებთან ურთიერთობა... და ეგ იყო წარუმატებლობა. არავინ არაფერი მასწავლა საერთოდ... გადამიარეს. გადამიარეს და ვიგრძენი რომ ძალიან სუსტი ვიყავი მასწავლებლობისთვის. არა, განა იმიტომ, რომ ან ცოდნა არ მქონდა ან რალაცის მიწოდება არ შემეძლო. უბრალოდ ვერ დავიჭირე ეს ბავშვები... ამისთვის არ ვიყავი მომზადებული... და შემდეგ უკვე მივედი იმ დონემდე, რომ ყველა ხელში მეჭირა. აბა, განძრეულიყვნენ ან გაეკეთებინათ ისეთი რამე, რაც არ მომეწონებოდა (მამრობითი, 26 წლის).

კონტამინაციის თანამიმდევრობა

კვლევის 16 მონაწილიდან 14 საკუთარი ცხოვრების ისტორიაში ერთ ისტორიას მაინც ყვება კონტამინაციის თანამიმდევრობით, რომელშიც დამაკმაყოფილებელ ან დადებით სცენას მოსდევს უარყოფითი აფექტით დატვირთული მოვლენა.

თუ ამბები მაკომპენსირებელი თანამიმდევრობით მრავალფეროვანია შინაარსის მიხედვით, ამ შემთხვევაში მოთხრობილი ისტორიები, ძირითადად, დანაკარგს, ახლობელი/ მნიშვნელოვანი ადამიანების გარდაცვალებას ეხება, იქნება ეს დედის, დეიდის, ბუბის, დეიდაშვილის დაკარგვა, რომლებიც პროტაგონისტის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ.

ჩემზე იმოქმედა იმან, რომ როდესაც ვიყავი მეოთხე კლასში, მაშინ დამელუპა დეიდაშვილი. აი, ამან იმოქმედა ყველაზე ცუდად იმიტომ, რომ მის ხელში ვიყავი გაზრდილი, ერთად ვცხოვრობდით და 15 წლით უფროსი იყო და არ არსებობდა სადმე წასულიყო და არ წავეყვანე. აი, ამან იმოქმედა ჩემზე. შეიძლება იმ პერიოდში ვერ

ვაცნობიერებდი რა ხდებოდა, მაგრამ მერე უკვე რომ არ მიდიოდა არსად და მეც აღარსად მივყავდი, ამან იმოქმედა ჩემზე ნეგატიურად (მამრობითი, 27 წლის).

კონტამინაციის თანამიმდევრობა აქვს სცენებს ინტერპერსონალური დანაკარგის შესახებ, სადაც მთხრობელები ყვებიან მეგობრებთან დაშორებაზე და ურთიერთობის გაწყვეტაზე.

მენატრება ხოლმე, ძალიან მინდა მივიღე და მოვუყვე რაღაცები იმიტომ, რომ იმას შეუძლია გამაჩეროს ხოლმე. მითხრას, გეყოფა ეხლა, გაჩერდი და.. აღარავინ მაჩერებს ეხლა რაღაცებს რომ ვყვები ხოლმე. განვიცადე ერთია, მენატრება ხოლმე... ჩემთვის ყველაზე მტკივნეული ამ შემთხვევაში, იცით რა არის? ის ბარიერი, რომელიც ამ ადამიანთან მიწევს, რომ მეონდეს (მდედრობითი, 19 წლის).

კვლევის სამი მონაწილე კონტამინაციის თანამიმდევრობით ყველა ნეგატიურ სექსუალურ გამოცდილებას და სექსუალური ძალადობის სცენას. ისინი საუბრობენ ბავშვობაში გადატანილ სექსუალურ ძალადობაზე ან სექსუალურ კავშირზე, რომელიც ინანეს.

12 წლის ასაკში სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გავხდი — ყველაზე მტკივნეული, ყველაზე საშიში და ყველაზე ემოციური... პირველად გავიგე რა არის ტკივილი. გავიგე ის, რომ არსებობს ცუდი ხალხიც, არა მარტო კარგი ხალხია ჩემს ირგვლივ... იმ მომენტში მივხვდი, რომ ცუდი რაღაც ხდება იმიტომ, რომ როცა მტაცეს, შემომიმტვრიეს ხელები უკან, პირი მომიხურეს, რომ არ ვიყვირო, დამაგდეს ქვებზე... უკვე მივხვდი, რომ ცუდი რაღაცა ხდება. არადა... გაგებაში არ ვიყავი, რომ შეიძლება ვიღაცა... არ ვიცოდი რისთვის. პირველი მომენტი ვიფიქრე, რომ ჩემი ცემა უნდათ, ვერ ვხვდებოდი რისთვის მხდიდნენ შორტებს და ის ტკივილიც იყო ჩემთვის გაუგებარი, რა არის, რატომ არის... (მამრობითი, 25 წლის)

კვლევის მონაწილეები საუბრობენ უარყოფით უკუკავშირზე, რომელიც მათ გარშემო არსებული საზოგადოებისგან მიიღეს.

მეცა გახეული კეტები, ძაან გახეული იყო, თან ზამთარი იყო უკვე, თოვლი და ძაან მციოდა, ფეხები მისველდებოდა, მარა რა მექნა, ვერ ვყიდულობდი და დილას რო მიხვიდოდი [ავტობუსის გაჩერებაზე], 7 საათზე უკვე რიგი დაწყებული იყო, წინასწარ იკავებდნენ და ვცდილობდი, ადრე მივსულიყავი, რომ ლექციაზე არ დამეგვიანა. ისე მეჩხუბნენ ქალები ერთ მისვლაზე, რა მოდაა, ეს კეტები რომ გაცვიაო, რომ ცრემლები წამსკდა, ანუ იმას რომ ეჯახები, რომ ადამიანები სოლიდარულები უნდა იყვნენ იმიტომ, რომ შენთან ერთად დგანან რიგში, შენს მსგავსად უჭირთ რაღაცა, მაშინ როცა შენ ქუსლიან ჩექმებზე დგახარ და ბეწვიანი ქურქი გაცვია, მე ვარ გახეული კეტებით, რომელზეც არც შეიხედება და მცია. აი, ძაან, ძაან მტკივნეული იყო (მდედრობითი 22 წლის).

კონტამინაციის თანამიმდევრობითაა დალაგებული სხვა ცხოვრებისეული სცენები, რომლებიც, ძირითადად, სწავლასა და სამსახურში წარუმატებლობას ეხება.

ეს იყო ჩემ პროფესიასთან დაკავშირებით. მეოთხე კურსზე ვიყავი საქართველოს პროკურატურაში, პროკურორის თანაშემწის სტაჟირების გამოცდები რომ გამოცხადდა, ერთწლიანი სტაჟირება და პარალელურად ხელფასი და ერთი წლის მერე დიდი ალბათობა, რომ უკვე პროკურორი გავმხდარიყავი. ჩავაბარე საკმაოდ წარმატებულად გამოცდები და მივდივარ გასაუბრებაზე, დაგირეკავთ და კარგი... დღესაც ველოდები იმათ ზარს. ეს მოხდა სამი წლის განმავლობაში ზედიზედ. რაც ყველაზე დიდი წარუმატებლობაა იმიტომ, რომ მივხვდი ამას და მენანება ეს დრო, რაც უკვე დავკარგე, როდესაც 4 წელი ვისწავლე იურიდიულზე (მამრობითი, 27 წლის).

სტიგმა და დაძლევა

სტიგმის შემცველი მოგონებები განსხვავდება ერთმანეთისგან შინაარსით. სტიგმის ექსპლიციტური მაგალითები ისეთ სცენებში ჭარბობს, რომლებშიც მოთხრობილია ქამინგ აუთის პროცესი, საკუთარი აზრის დაფიქსირება სექსუალური ორიენტაციის შესახებ, ჩაცმულობასთან ან სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული ბულინგის და ფიზიკური ზიანის მიყენების ამბები.

კვლევის მონაწილეები ყვებიან ოჯახთან ქამინგ აუთის შესახებ, რომელიც მათთვის სტრესული, ნეგატიური აფექტით დატვირთული და მასტიგმატიზირებელი იყო.

ყველაზე მნიშვნელოვანი სირთულეა ქამინგ აუთი. ძალიან რთული იყო, რომ გეთქვა, „მე ვარ გეი“. ძალიან რთული იყო მეთქვა, ჩემი მშობლებისთვის, რომ გეი ვარ. ძალიან დიდი ტკივილია, როდესაც ქამინგ აუთს აკეთებ და შენი მშობლები არ გიღებენ. ძალიან რთული იყო ეს.. და გადავლახე ზუსტად თავისუფლებით. აი, თავისუფლებამ გადამაღებინა ყველაფერი, თორე აი იქ, ჩემ მდგომარეობაში ძალიან ბევრმა თავი მოიკლა (მამრობითი, 27 წლის).

სტიგმის შემცველია ის სცენებიც, რომლებშიც პროტაგონისტები აღწერენ, როგორ გამოთქვენ საკუთარი აზრი სექსუალური ორიენტაციის შესახებ და რა პასუხი მოყვა ამას გარშემომყოფებისგან.

სირთულე ყოველდღიურად გვაქვს ყველას. ალბათ საზოგადოებასთან კონტაქტი ყოველდღიურად დაკავშირებულია სირთულესთან სხვადასხვა მიზეზის გამო. ალბათ, უნდა დავიცვა ჩემი პოზიცია, ან უბრალოდ ჩრდილში ვიყო რაღაც მომენტებში. რაღაცის კეთებას აზრი არ აქვს, ან შეიძლება სავალალო შედეგები მოჰყვეს. ამიტომაც არ ვაკეთებ რაღაც-რაღაცებს.. ეს სირთულეები რომ არ იყოს, უფრო ადვილი იქნებოდა რაღაცები (მამრობითი, 19 წლის).

გარშემომყოფების სტიგმის გამომწვევი პასუხი ღიად დაფიქსირებულ აზრზე ზოგჯერ სცილდება მხოლოდ ვერბალურ პასუხს და ფიზიკურ ზიანში გადაიზრდება.

ყველაზე მტკივნეული იყო ის, რომ მამაჩემმა მცემა იმის გამო, რომ არ ვუყურებდი ფეხბურთს. სპორტი ყველანაირად ჩემგან ძალიან შორს იყო და უფრო მიყვარდა „ფეშენ შოუების“ ყურება და ამის გამო მამაჩემმა მცემა. შენ ბიჭი ხარ და ბიჭს სპორტი უნდა უყვარდესო (მამრობითი, 19 წლის).

სტიგმატიზირების მიზეზი ხდება მოთხრობელების ჩაცმულობა ან ქცევაც, რომელიც გარშემომყოფებს საშუალებას აძლევს პროტაგონისტს იარლიყი მიაკეროს და ბულინგის მსხვერპლი გახადოს.

არასდროს დაუცინია ჩემთვის ვიღაცას სტილის გამო და ყოველთვის, როცა კლასში შევდიოდი ან დერეფანში დავდიოდი, ხმამაღლა ჩემ გასაგონად ამბობდა, რომ ნახეთ ვაჟკაცი მოდის. დაახლოებით იანვარში გადმოვიდა და სანამ დავამთავრებდით სწავლას, აი, ეგ მთელი 6 თვე იყო ძალიან ცუდი, ხანდახან სკოლაშიც არ მინდოდა წასვლა იმის გამო, რომ ის იქნებოდა და დაიწყებდა, „ვაჟკაცი მოდის“ და რაღაცებს (მდედრობითი, 20 წლის).

კვლევის მონაწილეები სტიგმის მსხვერპლები ხდებიან სექსუალური ორიენტაციიდან გამომდინარე. მათ აბუჩად იგდებენ, ავიწროვებენ ან, უარეს შემთხვევაში, ფიზიკურ მუქარას იღებენ.

უნივერსიტეტში საპირფარეოში რომ შევდიოდი, დამხვდა რამდენიმე ბიჭი და მითხრეს, რომ იქ ჩემი ადგილი არ იყო და მეორე სართულზე ავსულიყავი, იგულისხმეს მეორე სართულზე გოგოების საპირფარეო (მამრობითი, 19 წლის).

სტიგმის ყველაზე ნათელ მაგალითს ნარატივებში 17 მაისის მოვლენების აღწერა წარმოადგენს, როდესაც პროტაგონისტები ნათლად იხსენებენ პროცესს და აღნიშნავენ რომ ის დღემდე შიშების, საფრთხის მოლოდინის და ნეგატიური აფექტის წყაროა.

17 მაისი რომ იყო, ეხლაც კადრები მაქვს თვალწინ, თუნდაც იმ ადგილზე რომ გავივლი, თავისუფლების ტერიტორიაზე სულ თვალწინ მაქვს ხოლმე იმ დღის კადრები და ცუდად მახსენდება... ხალხის სახე, რეაქცია, როგორ ზიზღით სავსე იყო ხალხი და არ ინდობდნენ ერთმანეთს, არ ინდობდნენ განსხვავებულ ხალხს. საშინელი კადრები მახსენდება, იმ ადამიანების სახეები, რომ გეგონება შენი მტერია (მდედრობითი, 20 წლის).

მაკომპენსირებელი და კონტამინაციის თანამიმდევრობები ნარატივებში თითქმის თანაბრად იჩენს თავს, თითოეული მათგანი სხვადასხვა მოგონებებში ვლინდება, მაგრამ ერთდროულად არასდროს მოიძებნება ერთ მოვლენაში.

კვლევის მონაწილეებიდან, რომელთა ნარატივებშიც მოიძებნება სტიგმის დამლევის გზებისა და სტრატეგიების ექსპლიციტური მაგალითები, მხოლოდ ერთი იყენებს ემოციაზე ფოკუსირებულ სტიგმის დამლევას, დანარჩენები ყურადღებას ამახვილებენ პრობლემაზე და მისი გადაჭრით ცდილობენ სტიგმის გამომწვევი პირობების შემცირებას.

[სტიგმის არსებობა] ეგეც იმის ბრალია, რომ ძალიან ბევრი რამე არ უნახავთ. ყველგან ვარ ნამყოფი ევროპაში აბსოლუტურად. ძალიან ბევრი კულტურა ვნახე, ძალიან ბევრი ადამიანი გავიცანი, ძალიან ბევრთან მქონდა საუბარი. შესაბამისად, მერე შენც რაღაცა ხომ უნდა ისწავლო იმ ადამიანებისგან, არა და ადამიანი, რომელიც 24 საათი მარტო სახლში ზის, ვერაფერს ისწავლის (მამრობითი, 26 წლის).

ნარატივებში წარმოდგენილი მნიშვნელოვანი თემები

კვლევის მონაწილეთა ნარატივების უმრავლესობაში დომინირებს რამდენიმე თემა, რომელიც თითოეულ მონათხრობში ექსპლიციტურადაა წარმოდგენილი. ნარატივებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ოჯახის წევრების, უფრო კონკრეტულად, ბებიების შესახებ ამბები. ზოგ შემთხვევაში ეს თემა მთელ ნარატივს გასდევს. გარდა ამისა, კვლევის მონაწილეები გამოადიფერენცირებენ, აღწერენ და ხსნიან სარწმუნოებას, ეკლესიას და მათდამი საკუთარ დამოკიდებულებას. ასევე, ნარატივებში ცხადააა წარმოდგენილი მენტორის, ერთგვარი დამრიგებლის, მნიშვნელოვანი სხვის ყოლის სურვილი (და მისი ნაკლებობა).

ოჯახი

კვლევის მონაწილეები იშვიათად საუბრობენ ოჯახზე, კერძოდ მშობლებზე, როგორც მიჯაჭვულობის ობიექტზე, დამცველზე ან მნიშვნელოვან სხვაზე, რაც კონკრეტული გარემო პირობებით შეიძლება იყოს გამოწვეული. ნარატივებიდან ჩანს, რომ მშობლები არიან ემიგრაციაში, ცხოვრობენ სხვა ქალაქში, არიან უბრალოდ გარიყულნი შვილების ცხოვრებიდან ან გარდაიცვალნენ. მშობლების როლს და პასუხისმგებლობას ბებიები იღებენ საკუთარ თავზე (ერთ შემთხვევაში დეიდა), რომლებსაც კვლევის მონაწილეები აღწერენ, როგორც დადებით, მისაბამ პიროვნებებს და მესაიდუმლებს.

გარდაცვალებასთან დაკავშირებით ყველაზე მტკივნეულად მახსენდება ბებიაჩემი. მასთან ვიზრდებოდი, ძალიან მიყვარდა და ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანი იყო ჩემთვის და ყველაზე მტკივნეულად ეგ მახსენდება... ყოფილა სხვა დანაკარგიც, მაგრამ რაც ხშირად

ვფიქრობ და ხშირად მახსენდება და გული მწყდება, ბებიაჩემის ამბავია (მდედრობითი, 22 წლის).

კვლევის ერთ-ერთი მონაწილე დანაკარგის გახსენებისას თავადვე აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მშობლები გარდაეცვალა, ყველაზე მძიმე მისთვის მაინც ბებუის დაკარგვა იყო:

[დავკარგე] ბებია, მამა და დედა... [ყველაზე მტკივნეული] უფრო ბებია, უფრო მეტად, ვიდრე მამაჩემი. ყველაზე მეტად... უკვე რამდენი, მეოთხე თუ მესამე წელი გავიდა, რაც ბებია გარდაიცვალა, მაგრამ ის ყველაზე მეტად მახსენდება (მამრობითი, 17 წლის).

კვლევის სხვა მონაწილე ყველაზე უარყოფით გამოცდილებად ბებუის გარდაცვალებას ასახელებს და ყვება:

ყველაზე ნეგატიური არის ჩემთვის... შემძლია ეგრევე გიპასუხო: ეს არის ბებიაჩემის სიკვდილი. ბებიაჩემი ყოველთვის იყო ჩემთვის ავტორიტეტი... ბებიაჩემი არის/იყო უძლიერესი პიროვნება. იმან გამიჩინა თანადგომა, ის მასწავლიდა ბევრს, ის გვივლიდა, როცა დედა სამსახურში იყო. ისიც იყო ჩვენთვის დედა და დედაც იყო დედა. ორი დედა მყავდა მე (მამრობითი, 25 წლის).

ბებუის თემა ნარატივების უმრავლესობაში მთელ მონათხრობს ლეიტმოტივად გასდევს და თითქმის ყველა მოგონებასა თუ ეპიზოდში იჩენს თავს:

მისი გარდაცვალების მერე კიდევ დიდხანს დავდიოდი სასაფლაოზე, რომ მელაპარაკა ბებუასთან იმიტომ, რომ არ მყავდა გვერდით ვინმე, [ვისაც] შემძლია, რომ ჩავეხუტო, ვაკოცო ხელზე და დაველაპარაკო (მამრობითი, 25 წლის).

მენტორი

მიუხედავად ბებუების, როგორც მნიშვნელოვანი და ახლობელი ადამიანის არსებობისა, კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა თხრობის მანძილზე ერთხელ მაინც აღნიშნავს, რომ ჰყოლოდა ვინმე, ვინც აუხსნიდა, ასწავლიდა და დაარიგებდა, მათი ცხოვრების ისტორია სხვანაირად განვითარდებოდა. მთხრობელთა უმრავლესობა საუბრობს „მენტორზე“, რომელიც სჭირდებოდათ, მაგრამ არ ყავდათ:

... ეს იყო ბავშვობა, დაახლოებით ათ წლამდე, როცა ვთვლი, რომ ძან ისეთი რამ მაქვს გაკეთებული, სხვები რომ დამხმარებოდნენ, მაგალითად დედა, მამა ან ვინმე მეგობარი რომ დამხმარებოდა, ვინც ჭკუას დამარიგებდა, არ გავაკეთებდი ისეთ რამეებს, რომლებიც გავაკეთე... (მდედრობითი, 22 წლის).

მეორე მხრივ, კვლევის მონაწილეები, რომლებიც საუბრობენ ე.წ. მენტორის არ ყოლაზე, შემდგომში თავად ხდებიან მენტორები, დამრიგებლები, გზის გამკვალავები, რომელიც თავად მათ სჭირდებოდათ. პიროვნული იდეოლოგიის, ღირებულებების, მომავლის თავების თუ ცხოვრების პროექტის შესახებ საუბრისას ისინი ყვებიან განხორციელებულ აქტივობებზე ადამიანთა, ქალთა და სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვის მიმართულებით, მიზნად ისახავენ დაიცვან კონკრეტული ჯგუფების (ქალების, სექსუალური უმცირესობის) ან უბრალოდ ადამიანთა უფლებები:

ჩართული ვარ ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, განსაკუთრებით ქალების უფლების დაცვის სფეროსა და პატრიარქალური კულტურის დამახასიათებელი საზოგადოებრივი პრობლემების კვლევაში, ანალიზსა და ამ პრობლემების გამოსწორებაში, რაღაც სახით მაინც საქმეში ვარ და ესე გავაგრძელებ ქალის უფლებების დაცვას და გენდერული თანასწორობის მიღწევას... ყველაზე ძალიან რაც მინდა, ...ლგბტ წევრები არ იყვნენ დისკრიმინირებულები (მდედრობითი, 22 წლის).

ზოგიერთი მათგანი ღიად საუბრობს ან აპირებს, რომ ისაუბროს სექსუალური ორიენტაციის თემაზე; ცდილობს ან სურს, აამაღლოს სხვათა/საზოგადოების ცნობიერება ამ კუთხით.

აი, ზუსტად ჩემთვის სიბრძნის მომენტად იმას ვთვლი, როცა ერთ-ერთ გადაცემაში ვიყავით, ...ძალიან ცუდი საუბრები იყო იქ. ვითხოვე მიკროფონი, რომ სიტყვა მეთქვა, და... შინაგანი ნაბიჯი იყო. [ის, რასაც] ადამიანებს მოვუწოდებ თავისუფლებიდან და ვუთხარი, რომ ჯანმრთელი ადამიანი ხარ, რომ არ ხარ ავადმყოფი, რასაც გეუბნებიან. ის, რომ მეც ძალიან მიყვარხარ... ანუ ამას ჩემთვის არ ვაკეთებ, კიდევ ერთხელ ვიტყვი. ამას ვაკეთებ იმ ადამიანებისთვის, ვინც უნდა მოვიდნენ და გაიარონ და გადიან. მე რაც გავიარე, არ მინდა, რომ გაიარონ; რომ არ გაქვთ ორიენტაცია მხოლოდ და მხოლოდ სექსუალური ურთიერთობისთვის... ანუ ყველას სათქმელი ვთქვი... თუნდაც მე რომ იქ ბავშვი ვყოფილიყავი და ვმჯდარიყავი ასე 13-14 წლის და ვილაც დამენახა, ვინც ასეთი რაღაც თქვა, ჩემი ცხოვრება უფრო შეიცვლებოდა, მაგრამ ასეთი არავინ იყო ჩემს ცხოვრებაში (მამრობითი, 27 წლის).

სარწმუნოება

კვლევის მონაწილეთა ნაწილი (5 მონაწილე) ყვება, რომ ბავშვობაში რელიგიური იყვნენ: დადიოდნენ ეკლესიაში, აბარებდნენ აღსარებას, ეზიარებოდნენ, ჰყავდათ მოძღვარი. ზოგიერთი მათგანი დღესაც განაგრძობს ეკლესიაში და მოძღვართან სიარულს:

ბავშვობიდან ისეთ ოჯახში ვიზრდები... ტრადიციული, ეკლესიური, მოძღვარიც მყავს. ...ვარ მორწმუნე, მჯერა, რომ არსებობს [ღმერთი], კი! ეკლესიაშიც დავდიოდი თავის დროზე. ის მომენტი არ მაქვს, რომ ღმერთის არ მწამს ან ათეისტი ვარ, ან რაღაცა ვარ, ნუ ვიყავი მართლმადიდებელი, ეკლესიაშიც დავდიოდი, აღსარებაც ჩამიბარებია, მამაც მყავს (მდედრობითი, 20 წლის).

მიუხედავად ბავშვობაში ჩამოყალიბებული რწმენისა და ეკლესიური ცხოვრებისა, მათი უმრავლესობა აღარ იზიარებს მართლმადიდებლური ეკლესიის შეხედულებებს:

მერე ცოტა რომ წამოვიზარდე... ერთი-ორი წელი, სხვანაირი დამოკიდებულება გამიჩნდა. ახლა არ ვამბობ, რომ... პირჯვარსაც ვიწერ, ეკლესიაშიც დავდივარ, ყოველ დღე არა, მაგრამ როცა სადღესასწაულო დღეებია, მაგრამ რაღაც სხვანაირი დამოკიდებულება გამიჩნდა, აი ღმერთის მწამს, მაგრამ რატომღაც მამაობის მიმართ რაღაცნაირი, უფრო სხვანაირი შეხედულება მაქვს, ასე ვთქვათ, ნეგატიური (მდედრობითი, 20 წლის).

ისინი ეკლესიის და რელიგიის მკაცრ დიფერენცირებას აკეთებენ: გამოყოფენ ეკლესიას, რომელიც მათთვის არასიმპათიურია და საუბრობენ რელიგიაზე ან მართლმადიდებლური რელიგიის წარმომადგენლებსა და სახეებზე, რომლებიც მათთვის მისაღებია და ზოგ შემთხვევაში მისაბადიც:

საქართველოში არის მართლმადიდებლური ქრისტიანული რელიგია, ანუ.. ჰმ.. იესო ქრისტე გახდა ჩემი ერთ-ერთი თანამგზავრი კიდევ იმიტომ, რომ ეს ის ადამიანი იყო, ანუ რევოლუციონერი ადამიანი იყო, რომელიც ... ჩემი, რაც ბუნება მქონდა, რა შეხედულებაც სამყაროსა და სიცოცხლეზე, ადამიანებზე ემთხვეოდა მის შეხედულებებს (მამრობითი, 27 წლის).

კვლევის ზოგიერთი (4) მონაწილე მართლმადიდებლური რელიგიიდან ინაცვლებს სხვა რელიგიაზე, სამყაროს სხვაგვარ ხედვაზე, ასე ვთქვათ, გლობალურ რწმენაზე, რითაც არ კარგავს ბავშვობაში ჩამოყალიბებულ ბაზისურ რწმენას, მაგრამ აღარაა მართლმადიდებლური ეკლესიის მიმდევარი:

არ მწამს, რომ არსებობს ღმერთი, იმან შექმნა ადამიანი და ასე შემდეგ. ბიბლიას არ მივდეგ მიუხედავად იმისა, რომ ამ ყველაფერზე ვარ აღზრდილი... ერთადერთი ჩემი რასაც ესმოდა, ეს იყო ჩემი სხეული და ბუნება, რაც მიგებდა და ცხოველებთან და მიწასთან და ყვავილებთან ურთიერთობა, და მიწა ხარ და მიწად იქცევი (მდედრობითი, 19 წლის).

იკვეთება დიქტომომიურობა: მთხრობელებს შენარჩუნებული აქვთ ადრეულ ასაკში ჩამოყალიბებული ძირეული რწმენა, გარკვეული რელიგიური/სულიერი ღირებულებები. მათ ისევ სწამთ ღმერთის, მაგრამ აღარ მიაკუთვნებენ თავს მართლმადიდებლურ ეკლესიას.

მერე უკვე მესმოდა ხოლმე რომ, ისეთი რომ ხარ, რა პირით უნდა შეხვიდე ეკლესიაში და 2 წელია, რაც მამაო არ მინახავს, არც ეკლესიაში შევსულვარ, თითქოს მრცხვენია შესვლა. ეკლესიასთან რომ გავივლი ხოლმე და პირჯვარს რომ გადავიწერ, ვერ ვუყურებ, მრცხვენია, რა ვიცი, ალბათ, განსხვავებული რომ ვარ და მიუღებელი რომაა ეკლესიისთვის. ვარ მართლმადიდებელი, მაგრამ ეკლესიაში 2 წელია არ ვყოფივარ, სხვა რა ვქნა (მდედრობითი, 20 წლის).

აზრთა ურთიერთწინააღმდეგობრიობა განსხვავებულ საკითხებშიც გამოიხატება და მუდმივად ჩნდება სხვადასხვა ეპიზოდის თხრობისას. კვლევის მონაწილეები საუბრობენ უფლებების დაცვაზე, დისკრიმინაციის შეჩერებაზე, მაგრამ იქვე ამატებენ, რომ არავის უფლება ილახება და არავინაა დისკრიმინირებული:

ყველაზე ძალიან რაც მინდა,... ლგბტ წევრები არ იყვნენ დისკრიმინირებულები, არც არავინ აღარაა დისკრიმინირებული, მაგრამ თუ ეს ასე იქნება... (მდედრობითი, 22 წლის)

მქონდა სურვილი, რომ დამეცვა ჩემი უფლებები, რომელსაც ძირითადად, არ მიზღუდავენ ხოლმე. ვერავინ ვერ მიზღუდავს.(მდედრობითი, 19 წლის)

ნარატივების მთლიანობითი ანალიზი

ჰარტმან ჰალბერტალის და კორენის (2006) მიხედვით, გეი და ლესბოსელი ადამიანების იდენტობის ფორმირების საფეხურები ნათლად ჩანს კვლევის მონაწილეების მონათხრობში. ასე მაგალითად, 27 წლის მამაკაცი ადრეული ბავშვობიდანვე არსებულ განსხვავებულობის გრძნობაზე საუბრობს.

ჩემი ბავშვობიდან რა მახსენდება, მახსენდება ის, რომ ბავშვობიდან ვიყავი სხვანაირი ბავშვი, განსხვავდებოდი ყველასგან (მამრობითი, 27 წლის).

იდენტობის ფორმირების შემდეგი საფეხური — დისოციაცია წარმოდგენილია მთხრობელის ისტორიაშიც, რომელშიც ამბობს, რომ გამოეყო ადამიანებს. ის ცხოვრების ამ თავს პირდაპირ „გამოყოფას“ არქმევს, რასაც მოყვება სექსუალური ორიენტაციის აღიარება საკუთარ თავთან.

„დასაწყისის“ შემდეგ იწყება „გამოყოფა“, მეორე თავს დავარქმევ „გამოყოფას“, როდესაც გამოვეყვე ადამიანებს. ეს მოხდა დაახლოებით 12-13-14 წლის ასაკში. საერთოდ გამოვეყავი ჩემგან ადამიანები... აი, 14 წლის რომ გავხდი, ვიცოდი უკვე, რომ ყველას, ოჯახშიც და ჩემს გარშემოც იყო ესეთი ის, რომ ბიჭი ხარ და გოგო უნდა გიყვარდეს, მერე ცოლი უნდა მოიყვანო, ნუ მოკლედ ის გოგო მოგწონს, ეს გოგო მოგწონს... და ეს ყველაფერი იყო ჩემთვის გამაღიზიანებელი იმიტომ, რომ არ მომწონდა გოგოები საერთოდ (მამრობითი, 27 წლის).

ცხოვრების შემდეგ თავს მთხრობელი ასათაურებს როგორც ღელვას, ქარიშხალს და ზუსტად აქ ჩანს იდენტობის ჩამოყალიბების შემდეგი საფეხური — კრიზისი. კვლევის მონაწილე თავს ცოდვილად მიიჩნევდა და საკუთარ სექსუალურ სურვილს ებრძოდა.

სარკესთან ვდგებოდი და ვუყურებდი, რომ დამენახა ეშმაკი ჩემს თავში. ეს კარგა ხანი გრძელდებოდა, მართლა ვიყურებოდი ხოლმე სარკეში და მართლა მაინტერესებდა, სად იყო ეშმაკი (მამრობითი, 27 წლის).

საბოლოო ეტაპზე ხდება სექსუალური იდენტობის გაცნობიერება და იდენტობის ინტეგრაცია (Hartman Halbertal & Koren, 2006), რომელიც პროტაგონისტის შემთხვევაში საინტერესო სახეს იღებს: იდენტობის ინტეგრაციას სიზმრად ნახულობს.

ერთ-ერთი ძილის დროს ვნახე ასეთი რაღაც, რომ ძალიან დიდ სიბნელებში დავდიოდი და მინდოდა შუქი ამენთო. ვერსად ვანთებდი შუქს, ყველგან სიბნელე იყო. შემდეგ დავინახე რაღაცა... გაიხსნა, ალბათ, კარი და სინათლემ გამოასხივა იქიდან და დაიწყო უფრო გამონათება ამ სინათლემ და რომ გამოვიდა, დავინახე, რომ ვიყავი მე. საკუთარი თავი, რომელიც ანათებდა და იყო ძალიან ნაზი... ნაზად მოძრაობდა, იყო ძალიან ჰაეროვანი და ვიყავი მე და რომ ვუყურებდი, მიკვირდა. ჩემს საკუთარ თავს ვუყურებდი, რომ იყო განათებული და რაღაც საყვარელი ვიღაცა. ამით დამანახა შემოქმედმა, რომ ის მე ესეთს მხედავდა და არა ისეთს, როგორსაც მე ვხედავდი ჩემს თავს იმიტომ, რომ მე ვხედავდი ჩემს თავს სიბნელებში... სწორად მანახა რა. რაღაც მისტერიული იყო იმიტომ, რომ ამ ყველაფრის მერე დავიწყე ფიქრი, რომ სულაც არ არსებობს ეშმაკი ჩემში (მამრობითი, 27 წლის).

საინტერესოა, რომ შემდეგ თავს კვლევის მონაწილე მეორედ დაბადებას არქმევს, რომელშიც ყველა ერთგვარ სინთეზზე, გაერთიანებაზე, საკუთარი თავის პოვნასა და მიღებაზე, ცხოვრებაზე იმ ადამიანებთან ერთად, ვისაც მისი ესმის და უყვარს.

ზოგიერთ კვლევის მიხედვით (მაგალითად, Herdt & Boxer 1993; Savin-Williams 1998, წყაროში Hammack et.al. 2009), როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, თანამედროვე ახალგაზრდებს განვითარების პროცესში სექსუალური იდენტობის, სულ მცირე, ორ მასტერ ნარატივთან უწყვეტ შეთანხმება: პირველი ბრძოლისა და წარმატების მონათხრობია. ბრძოლის ნაწილი საკუთარი თავის მიღებასთან ასოცირებულ შინაგან და გარეგან გამოწვევებს უკავშირდება (Hammack et.al. 2009). კვლევის მონაწილეების ნარატივებში ნათლად ჩანს ბრძოლის მონათხრობი. გვიანი მოზარდობის პერიოდში მყოფი ადამიანები ჯერ კიდევ განიცდიან საკუთარი თავის მიღებასთან დაკავშირებულ დისკომფორტს, რასაც ზოგ შემთხვევაში სექსუალური ორიენტაციის გამო სირცხვილის და დანაშაულის გრძნობა ახლავს თან. მიუხედავად იმისა, რომ ეს კვლევები არაქართულ კულტურაშია ჩატარებული, წარმოდგენილი კვლევის მონაწილეთა ნარატივებშიც ანალოგიური სურათი იკვეთება.

არც ეკლესიაში შევსულვარ, თითქოს მრცხვენია შესვლა, ეკლესიასთან რომ გავივლი ხოლმე და პირჯვარს რომ გადავიწერ, ვერ ვუყურებ მრცხვენია ხოლმე, რა ვიცი, ალბათ განსხვავებული რომ ვარ და მიუღებელი რომაა ეკლესიისთვის (მდედრობითი, 20 წლის).

ემანსიპაციის ნარატივი გულისხმობს სექსუალური იდენტობის რიგიდული კატეგორიებიდან გათავისუფლებასა და საზოგადოების მხრიდან სექსუალური სურვილის მარეგულირებელი ტიპოლოგიის შექმნის მოთხოვნილებებისადმი კრიტიკულ მიდგომას (Hammack et.al. 2009). კვლევის მონაწილეებს, რომლებიც ადრეული მოზარდობის ასაკში არიან, სრულად აქვთ მიღებული საკუთარი თავი.

ვსაუბრობ იმ ტერმინებით, რა ტერმინებიც მისაღებია სამყაროსთვის, თორემ საერთოდ არ ვფიქრობ, რომ რაღაცა თემი არსებობს, რომ რაღაც ჯგუფი არსებობს, ადამიანები არიან მრავალფეროვანები (მამრობითი, 27 წლის).

კვლევის მონაწილეთა ცხოვრების ისტორიები ფეხდაფეხ მიყვება კოჰლერის და ჰამაკის (2006) კვლევაში აღწერილ არაჰეტეროსექსუალ ადამიანთა სამი თაობის

განვითარებას. ქართველი გეი და ლესბოსელი ადამიანების ცხოვრების ისტორიები იმეორებს მსგავს მოვლენათა ჯაჭვს, რომელიც ამერიკელი არაჰეტეროსექსუალების ისტორიის განვითარებისთვისაა დამახასიათებელი. ამერიკაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არაჰეტეროსექსუალებში სოციალური კონსერვატიზმი და სტიგმა დაფარულ სექსუალურ იდენტობას განაპირობებდა (Cohler & Hammack, 2006). მსგავს ვითარებას ვხვდებით კვლევის ქართველ მონაწილეებთან: ისინი მალავენ საკუთარ სექსუალურ ორიენტაციას, რადგან იციან, მათ არ მიიღებს არა მარტო საზოგადოება, არამედ თავად საკუთარი ოჯახი, მშობლები და, აქედან გამომდინარე, სტიგმის მსხვერპლად იქცევიან.

ისეთ ხალხთან ვმალავ, რომელიც არის „საშიში“ ანუ არ მაინტერესებს გამვლელმა რომ გაიგოს ასეთი ვარ, რას იფიქრებს, უბრალოდ, მთავარია. ჩემ ოჯახამდე არ მივიდეს ანუ დედა და... ნათესავები სიტყვაზე... ანუ გააჩნია ვისთან ვმალავ. იქ უფრო ვმალავ, სადაც ვცხოვრობდი, დედაჩემი სადაც არის ეხლა, სადაც ყველა იცნობს დედაჩემს, ჩემ ოჯახს, ნათესავებს, ძალიან ახლო წრეა და ვმალავ... მეტყობა? მეტყობა, ალბათ, მაგრამ რომც იკითხონ, ვიცი, რომ არ ვაღიარებ იმიტომ, რომ მეშინია. აქეთ გახსნილად ვარ უფრო. ვიცი, რომ არც კონტაქტი აქვთ ჩემს ოჯახთან და არც არაფერი და უფრო იმიტომ ვმალავ თუ ვმალავ, რომ არ გაიგოს დედაჩემმა. უცხოსაც კი არ დავუმაღავ, ჰომოფობიცი რომ აღმოჩნდეს, არ დავუმაღავ (მდედრობითი, 20 წლის).

შესაბამისად, ამერიკელი გეებისა და ლესბოსელების პირველი (ნაკვლევი) თაობის მსგავსად, კვლევის ქართველ მონაწილეებიც უარყოფენ საკუთარ თავს. სტიგმის გამომწვევი პირობებიდან გამომდინარე, ისინი ორმაგი ცხოვრებით ცხოვრობენ ანუ ორი ნარატივით მოქმედებენ. როგორც ამერიკელთა პირველი თაობის, ისე კვლევის ქართველი მონაწილეების ცხოვრებაზე გავლენას ახდენს სოციალური სტიგმა, რაც ართულებს ოპტიმალური განვითარების შესაძლებლობას (მაგალითად იხ. Plummer, 1975, წყაროში Cohler & Hammack, 2006).

ამერიკელი არაჰეტეროსექსუალების მეორე თაობა იწყებს გეი უფლებების დაცვისთვის მოძრაობას, რასაც მოყვება სტოუნუოლის ჯანყი (Stonewall Innriots) 1969 წელს (Clendinen & Nagourney, 1999; D'Emilio, 1983/1998; Duberman, 1993, წყაროში Cohler & Hammack, 2006). ამერიკაში განვითარებულ მოძრაობას საკმაოდ მიახლოებულად იმეორებს 17 მაისის მოვლენები საქართველოში. სტოუნუოლის ჯანყის შემდეგ იწყება გეი მოძრაობა სამოქალაქო უფლებების მოსაპოვებლად (D'Emilio, 1983/1998; Loughery, 1998 წყაროში Cohler & Hammack, 2006), რომელიც გეების და ლესბოსელების, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრების, აღიარებისკენ ისწავის. ამერიკული მეორე თაობის წარმომადგენლების მსგავსად, კვლევის ქართველი მონაწილეების დიდი ნაწილი ჩართულია ქალების, უმცირესობების, არაჰეტეროსექსუალების და, ზოგადად, ადამიანთა უფლებების დაცვაში.

მეორე თაობის წარმომადგენელი მილერი (Miller, წყაროში Cohler & Hammack, 2006) პირველი თაობის წარმომადგენლებს განსხვავებულობის გრძნობით და სირცხვილის განცდით ჰგავს, მაგრამ მისი ისტორია მოზრდილობაში მას შემდეგ იცვლება, რაც იღებს საკუთარ სქესობრივ იდენტობას და ცხოვრებას საკუთარი ჰომოსექსუალობის გაცნობიერების ირგვლივ აგებს. მისი ჰომოსექსუალური იდენტობა ხდება მორგანიზირებელი ელემენტი მის ცხოვრებაში, მთლიანად მოიცავს რა სამუშაოს და პოლიტიკურ აქტივობას (Cohler & Hammack, 2006). მის მსგავსად, კვლევის ზოგიერთი ქართველი მონაწილე საკუთარ აქტივობებს საკუთარ სქესობრივ იდენტობას უკავშირებს, რომელიც განსაზღვრავს პროტაგონისტის მიზნებს.

სტერეოტიპს ვანგრევ, რომ არ აქვს მნიშვნელობა როგორ გამოიყურები. ჩემი თემის ადამიანების მხარდაჭერა... მე მგონი, მათ არ უნდა შერცხვით, რომ მე მათ წარმოვადგენ. თუმცა ბევრი წარმოადგენს, მაგრამ ერთ-ერთი მე ვარ და, მგონი, ჩემი არ უნდა შერცხვით, იმიტომ რომ, რა ვიცი, მათთვის შეიძლება რაღაც დასაყრდენი ვიყო. რა ვიცი, ისეთი პიროვნება არ არის ჩემში და არა ვარ, რომ შერცხვით ეს ტიპი რატომ ლაპარაკობს. რატომ არ შეიძლება სხვამ... აი, ამიტომაც რა, ალბათ, მაქვს ნება მოცემული, რომ ვიყო თავისუფალი (მამრობითი, 27 წლის).

მესამე თაობის წარმომადგენელი რიდი (Read წყაროში Cohler & Hammack, 2006) საკუთარ ბიოგრაფიით ცდილობს დაეხმაროს მოზარდებს სექსუალური ორიენტაციის გაცნობიერებასა და გარკვევაში მაშინ, როდესაც ისინი ანტიჰომოსექსუალურ ცრურწმენებს შეხვდებიან სკოლაში ან სხვა საზოგადოებაში. რიდი საკუთარ ზრუნვის საფუძველს ბავშვობაში ხედავს, როცა თავად სურდა, უფროსი ძმა ჰყოლოდა, რომელიც დაეხმარებოდა დამარცხებულობის განცდის დაძლევაში (Cohler & Hammack, 2006). მსგავს პრაქტიკას ვხვდებით კვლევის ქართველი მონაწილეების ნარატივებშიც: ისინი საუბრობენ მენტორის საჭიროებაზე, რომელიც მათ დაეხმარებოდა სექსუალური ორიენტაციის გაცნობიერებასა და მიღებაში.

რიდის მსგავსად, კვლევის ქართველ მონაწილეებს ახლა თავად სურთ იზრუნონ სხვა არაჰეტეროსექსუალ ადამიანებზე, შეითვისონ იმ მენტორის როლი, რომელიც თავად სჭირდებოდათ, გაუზიარონ მათ გამოცდილება და გზა გაუკვალონ სტიგმის გამომწვევ, სტრესულ გარემოში.

კვლევის მონაწილეები არ არიან წინააღმდეგნი სხვებმა იცოდნენ მათი ორიენტაცია, ზოგიერთი მათგანი ქამინგ აუთში გულწრფელი, მყარი ურთიერთობის საფუძველს ხედავს.

მირჩევნია თუ არა? მირჩევნია [იცოდნენ ჩემი ორიენტაციის შესახებ გარშემომყოფებმა] ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანმა ხალხმა იცოდეს იმიტომ, რომ თუკი მე ისევ ვიქნები ნიღბიანი, ე.ი. მე ვიქნები მატყუარა (მამრობითი, 25 წლის).

მეორე მხრივ, კვლევის მონაწილეები საფრთხის ან სტიგმატიზირების შემთხვევაში არჩევენ საკუთარი სექსუალური ორიენტაციის დამალვას. ამგვარად, იყენებენ სტიგმის დაფარვის სტრატეგიას და თავს არიდებენ სტიგმის გამომწვევ, სტრესულ სიტუაციას და საუბრებს.

ერთი სიტყვით გეტყვი მაშინ, მკიდა! უნდა იცოდნენ, უნდა არ იცოდნენ იმიტომ, რომ სხვისი აზრი ჩემი ორიენტაციის შესახებ არ მაინტერესებს იმიტომ, რომ ზოგს ეს დადებითი გონია, ზოგს უარყოფითი. ვისაც უარყოფითი გონია და მეჩიშება, დაველაპარაკები. ვისაც კარგი გონია და დალაპარაკება უნდა, მაინც დაველაპარაკები. გაიგებს გაიგებს, არ გაიგებს და ნუ გაიგებს. ეგ თავის პრობლემაა და არა ჩემი. ჩემი პრობლემა იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს, რომ მე რაღაც დამიშავდეს, მაგრამ საერთოდ საქმე იქამდე არ მიმყავს, რომ რაღაც დამიშავოს იმიტომ, რომ შეიძლება რაღაც კომპრომისებზე წავიდე, შეიძლება მოვიტყუო, რომ ღმერთის მწამს და ბიბლიით წავიდე, რომ აი, ბიბლიაში ესე წერია, შეიძლება მოვიტყუო, რომ რაღაც ქართული ტრადიციები მიყვარს და ყანწები შევსვა და აეჰ (შედახილი), ბევრი ნიღბები მოვირგო იმიტომ, რომ ჩემი საკუთარი ტყავი გადავარჩინო. ასე! (მდედრობითი, 19 წლის).

კვლევის არც ერთი მონაწილე იყენებს ჯგუფურ იდენტობას ყოველდღიურ ცხოვრებაში სტიგმის დასაძლევად. ისინი მხოლოდ სტიგმის დაფარვის და გაცნობიერებული კონტროლის გზებს მიმართავენ, რაც ამერიკელი

არაპეტეროსექსუალების მესამე თაობის ერთ-ერთი მახასიათებლის ეკვივალენტურია, როდესაც სექსუალური ორიენტაცია აღარ არის ცხოვრების ცენტრალური მორგანიზირებელი ელემენტი და ის მხოლოდ იდენტობის ნაწილი ხდება. შესაბამისად, სტიგმასთან გამკლავება ნაკლებად საჭიროებს სექსუალური იდენტობის გააზრებას.

მივხვდი, რომ ეგ [სექსუალური ორიენტაცია] არ არის ჩემთვის წამყვანი. ადრე იყო, ახალგაზრდობაში უფრო და ეხლა მივხვდი, რომ ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, ამ ეტაპზე, რომ ვმუშაობ., ვიძრე ის, რომ გვი ვარ ანუ იდენტიფიკაცია, თვითიდენტიფიკაცია საქმესთან უფრო მეტი მაქვს, მაგრამ მანამდე არ მქონდა (მამრობითი, 34 წლის).

იაპის (Yip, 1999 წყაროში Hartman Halbertal & Koren, 2006) მიხედვით, ზოგიერთი ქრისტიანი არაპეტეროსექსუალი გამოიმუშავებს დადებით იდენტობას, რომელიც მოიცავს სექსუალობასაც და რელიგიურ რწმენებსაც ანუ ხდება ქრისტიანული რწმენისა და სექსუალობის სინთეზი, რომელიც შესაძლებელი ხდება მაშინ, როცა საკუთარი თავის ხედვის ძირითად ჩარჩოსა და შემადგენელ კომპონენტს ინდივიდის მე (self) წარმოადგენს და არა — რელიგიური ავტორიტეტი. მსგავსი გამოცდილებაა აღწერილი ერთ-ერთი მონაწილის მონათხრობში, რომელშიც საუბრობს იესოსადმი სიყვარულზე და საკუთარ სექსუალურ ორიენტაციაზე.

...და იესო იყო სადაც, ისევე როგორც ბუნებაში, სიმშვიდეს ვპოულობდი.. ანუ როგორც არ უნდა, ვინც არ უნდა იყო, უყვარხარ ვიღაცას, უყვარხარ და ეს იყო ძალიან დიდი.. ეს რომ არ მქონოდა, ალბათ, ვფიქრობ, რომ დღეს წესით ცოცხალი აღარ უნდა ვიყო... ერთადერთი გესმის, რომ არსებობს ვიღაც, ვისაც უყვარხარ ისეთი, როგორც ხარ. შეიძლება შენი არ ესმით, მაგრამ იმას ყოველთვის ესმის (მამრობითი, 27 წლის).

მეორე მხრივ, ჰარტმან ჰალბერტალის და კორენის (2006) კვლევა აჩვენებს, რომ მართლმადიდებელი ებრაელი გეები და ლესბოსელები, რომლებიც საკუთარი ორმაგი იდენტობის აღიარებას ახერხებენ, მაინც მკაფიოდ შეიგრძნობენ ამ დუალისტურ/ორმაგი იდენტობებს. მსგავს მონათხრობს ვხვდებით კვლევის ქართველ მონაწილეებში. ზოგიერთი მათგანი კვლავ მორწმუნეა, მაგრამ მუდმივად განიცდის ორმაგი იდენტობით მიღებულ განსხვავებას.

ორმაგი იდენტობა ზოგიერთ შემთხვევაში არა მარტო რელიგიის საკითხებში, არამედ სხვა ცხოვრებისეულ მოვლენებშიც ჩნდება და ზოგჯერ მთელს ნარატივს ლეიტმოტივად გასდევს.

მაშინ, როცა ზოგიერთი კვლევის მონაწილე ინარჩუნებს ბავშვობაში ჩამოყალიბებულ რელიგიურ რწმენას, სხვები უარს ამბობენ რელიგიაზე, სახეს უცვლიან მას, ან საერთოდ უარყოფენ მის არსებობას.

როდესაც ადამიანები სექსუალობასა და რელიგიას შორის კონფლიქტს აწყდებიან, ნებდებიან სწავლებას, რომლისაც არ სწამთ, ან საერთოდ უარს ამბობენ რელიგიურ მემკვიდრეობაზე. სხვა სიტყვებით, ერთ შემთხვევაში მხოლოდ მანიფესტურ დონეზე ირჩევენ რელიგიას, მიჰყვებიან მას და უარს ამბობენ საკუთარი მე-ს ნაწილზე, მეორე შემთხვევაში კი საერთოდ უარს ამბობენ რელიგიაზე და ინარჩუნებენ მე-ს მთლიანობას (Holmes, 1999 წყაროში Hartman Halbertal & Koren, 2006).

ამრიგად, როდესაც კვლევის მონაწილეები საუბრობენ საზოგადოების და კულტურის დამოკიდებულებაზე არაპეტეროსექსუალური ორიენტაციის მიმართ, ჩანს, რომ ისინი ამერიკული არაპეტეროსექსუალების პირველ და მეორე თაობის

წარმომადგენლებს შეესაბამებიათ: საზოგადოებრივი კონსერვატიზმისა და სტიგმის გამო, განიცდიან სირცხვილს, მოქმედებენ ორმაგი ნარატივით, იბრძვიან საკუთარი და სხვა უმცირესობების უფლებებისთვის, მათი ცენტრალური ცხოვრებისეული თემა/ მიზანი არაჰეტეროსექსუალური ორიენტაცია ხდება. მაშინ, როცა კვლევის მონაწილეები საუბრობენ საკუთარი თავის მიღებაზე, საკუთარი თავის და სურვილის რეალიზებაზე, ისინი ამერიკელი არაჰეტეროსექსუალების მესამე თაობის წარმომადგენლებს ემსგავსებიან: სხვების მენტორები ხდებიან და უზიარებენ გამოცდილებას და მათი ცხოვრების მთავარი მათგან განსხვავებული აღარ არის სექსუალური ორიენტაცია. სავარაუდოა, რომ განვითარების ასეთ არათანაბარ მიმდინარეობას ხელს უწყობს ახალი ტექნოლოგიები, რომელიც აერთიანებს მარგინალიზებულ საზოგადოებებს და ქმნის/ხელს უწყობს ახალ ისტორიულ ცვლილებას არაჰეტეროსექსუალთა ცხოვრებისეულ გამოცდილებაში (Cohler & Hammack, 2006). გლობალიზაციის ეს მნიშვნელოვანი კომპონენტი კვლევის მონაწილეებს საშუალებას აძლევს, იმსჯელონ საკუთარ სექსუალურ ორიენტაციაზე მათი კულტურის საზღვრებს მიღმა არსებული მოვლენების მიხედვით.

დასკვნა

მოცემული კვლევის მიზანი იყო არაჰეტეროსექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანების პერსონალური ნარატივის სტრუქტურასა და სტიგმის დაძლევის ურთიერთმიმართების დადგენა; ასევე, არაჰეტეროსექსუალი ადამიანების ნარატივებში სხვა ისეთი თემატური ხაზების აღმოჩენა, რომელიც უკეთ დაგეხმარებოდა სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული დაბრკოლებების, ოჯახთან ურთიერთობის და რელიგიასთან დაკავშირებული შეხედულებების აღწერასა და გაგებაში.

ამრიგად, მონაცემების თვისებრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ ქართველი არაჰეტეროსექსუალი ადამიანები თითქმის სრულად იმეორებენ ჰარტმან ჰალბერტალის და კორენის (2006) კვლევაში აღწერილ გეი და ლესბოსელი ადამიანების იდენტობის ფორმირების საფეხურებს. ამასთან, საკუთარი იდენტობის მარკერებით არ შეესაბამებიათ ამერიკელ არაჰეტეროსექსუალთა რომელიმე ერთ თაობას, არამედ მოიცავენ ამერიკულ კულტურაში ჩამოყალიბებული სამივე თაობის მახასიათებლებს.

კვლევის შეზღუდვები და სამომავლო მიმართულებები

წარმოდგენილ კვლევას რამდენიმე შეზღუდვა აქვს. პირველ რიგში, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, კვლევაში მხოლოდ 16 ადამიანი მონაწილეობდა, რაც საკმარისია თვისებრივი კვლევისთვის, მაგრამ ძალიან ცოტაა რაოდენობრივისთვის. ამიტომ არაფრის თქმა შეიძლება მიღებული შედეგების განზოგადების მიმართულებით. თვისებრივი ანალიზით მიღებული შედეგების რაოდენობრივი კვლევის ჩარჩოში ვალიდაციის მიზნით სასურველია ამ კვლევის უფრო დიდი მოცულობის შერჩევაზე ჩატარება.

გარდა ამისა, კვლევა კროსსექციურია ანუ დროის ერთ კონკრეტულ მომენტში ჩაიწერა ინტერვიუები, რაც არ გვაძლევს ინდივიდის ცხოვრების ისტორიის შესახებ შედარებით სრულ წარმოდგენას, ვინაიდან პერსონალური ნარატივები მუდმივად ვითარდება და იცვლება მთელი ცხოვრების განმავლობაში, რადგან ადამიანები ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ისტორიის განსხვავებულ ასპექტებსა და მახასიათებლებზე მუშაობენ (McAdams, 1993, წყაროში McAdams, 2009). იმისთვის, რომ

შედარებით სრული წარმოდგენა შეიქმნას ცხოვრების ისტორიის თხრობის სტრუქტურასა და სტიგმის დაძლევის ურთიერთკავშირზე, საჭიროა კვლევის მეტად დიდი რაოდენობის შერჩევაზე განმეორებითი ნარატივების კვლევა.

მადლობა

მოცემული კვლევა პირველი ავტორის პირველი სერიოზული ნამუშევარია, რომელიც მან სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში განახორციელა. მადლობის ნაწილი, შესაბამისად, ექსკლუზიურად მას ეკუთვნის.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ ლილი ხეჩუაშვილს, რომელიც აქტიურად და მთელი ენერგიით მეხმარებოდა კვლევის მომზადებაში, მაძლევდა დროულ და მნიშვნელოვან რეკომენდაციებს და ქალბატონ მაია მესტვირიშვილს, რომელმაც პირველმა მომცა საშუალება, მემუშავა მაკ ადამსის ცხოვრების ისტორიის ინტერვიუთი. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო გიორგი ჭუმბურიძეს, რომელიც დამეხმარა მონაცემების სწრაფ და ხარისხიან კოდირებაში, მიუხედავად იმისა, რომ თავადაც მუშაობდა სამაგისტრო ნაშრომზე. და ბოლოს, დიდი მადლობა თითოეულ კვლევის მონაწილეს იმ მნიშვნელოვანი და ფასდაუდებელი ისტორიების გაზიარებისთვის, რომელიც მათი ცხოვრების ისტორიას ასახავს.

გამოყენებული ლიტერატურა

- აღდგომელაშვილი ე. (2016). *წინასწარგანწყობიდან თანასწორობამდე: საზოგადოების ცოდნის, ინფორმაციულობისა და დამოკიდებულების კვლევა ლგბტ ჯგუფისა და მათი უფლებრივი თანასწორობის მიმართ*. თბილისი: WISG.
- გაბუნია, შ. და ვაჭარაძე, ი. (2013). *შესავალი ლგბტ ფსიქოლოგიაში*. თბილისი: იდენტობა.
- ნემანიშვილი, თ. და ჯანაშია, ლ. (ბექდვაში). *აბედნიერებს თუ არა ქამინგ აუთი? კავშირი ლგბ იდენტობის ფორმირებას, სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნებასა და ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნას შორის (საქართველოს მაგალითზე)*.
- მესტივირიშვილი, მ. (2015). *სტიგმა და ცხოვრების ისტორია: რას ნიშნავს იყო უმცირესობაში*. (მოძიებულია 20.06.2016. http://www.feminizmi.org/project/stigmacxov_rebisistoria/).
- ურჩუხიშვილი, გ. (2008). *ჰომოსექსუალის „იატაკვეშეთიდან გამოსვლის“ პროცესი (ერთი ჰომოსექსუალი მამაკაცის ცხოვრების მაგალითზე)*. სამაგისტრო ნაშრომი.
- ხეჩუაშვილი, ლ. (ბექდვაში). *პიროვნება: შესავალი პიროვნების ფსიქოლოგიაში*. II ნაწილი.
- ხეჩუაშვილი, ლ. (2016c). *პერსონალური ნარატივების მაკომპენსირებელი სტრუქტურისა და პოსტტრავმული ზრდის ურთიერთმიმართება(2008 წლის ომის შემდეგ იძულებით ადგილნაცვალ პირთა მაგალითზე)*. *GESJ: Education sciences and psychology*. No 3(40), pp.69-97 (მოძიებულია 10.07.2016, http://gesj.internetacademy.org.ge/download.php?i_d=2768.pdf).
- ხეჩუაშვილი, ლ. (2016d). *მასტერ ნარატივის ინტეგრაციული თეორიული ჩარჩო: ქართული ილუსტრაცია*. *GESJ: Education sciences and psychology*. No 3(40), pp.122-152

(მოდებულა 10.07.2016, <http://gesj.internet-academy.org.ge/download.php?id=2777.pdf>).

ხეჩუაშვილი, ლ. (2016). სტიგმა. ელექტრონული ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.)მოდებულა 25.06.2016, <http://dictionary.css.ge/content/stigma>).

Calhoun, L. G., & Tedeschi, R. G. (2013) *Posttraumatic growth in clinical practice*. New York: Brunner Routledge.

Cohler, B. J., & Hammak P. L. (2006). Making a gay identity: life story and the construction of a coherent self. In: McAdams, D.P., Josselson, R. & Lieblich, A. (Eds.) *Identity and story: creating self in narrative*. Washington, American psychological association press, pp.151-172.

Glassgold, J.M., Beckstead, L., Drescher, J., Greene, B., Miller, R., Worthington, R., L. (2009). *Report of the American psychological association task force on appropriate therapeutic responses to sexual orientation*. American psychological association. (მოდებულა 7.07.2016, <http://www.apa.org/pi/lgbc/publications/therapeutic-resp.html>).

Hartman Halbertal, T. & Koren, I. (2006). Between being and doing: conflict and coherence in identity formation of gay and lesbian orthodox Jews. In: McAdams, D.P., Josselson, R. & Lieblich, A. (Eds.) *Identity and story: creating self in narrative*. Washington, American psychological association press, pp.37-62.

Hammack P.L. (2005). The life course development of human sexual orientation: an integrative paradigm. *Human development*. Vol48, pp. 267-290.

Hammack, P.L., Thompson, E. M. & Pilecki, A. (2009). Configurations of identity among sexual minority youth: context, desire and narrative, *Journal of Youth Adolescence*, 38:867–883. DOI 10.1007/s10964-008-9342-3.

Heatherton, T. F., Kleck, R. E., Hebl, M. R., & Hull, J. G. (Eds). (2003). *The social psychology of stigma*. New York: The Guilford press.

Kaufman, J., M. & Johnson, C. (2004). Stigmatized individuals and the process of identity. *The sociological quarterly*. Vol. 45, No 4. pp. 907-833.

Lilgendahl, J .P. and McAdams, D. P. (2011). Constructing Stories of Self-Growth: How Individual Differences in Patterns of Autobiographical Reasoning Relate to Well-Being in Midlife. *Journal of Personality*, 79:2, DOI: 10.1111/j.1467-6494.2010.00688.x

McAdams, D. P. (2001). The psychology of life stories. *Review of general psychology*, Vol.5. No.2. pp.100-122.

McAdams, D. P. (1993). *The Stories we live by: Personal Myths and the Making of the Self*. New York: Morrow.

McAdams, D. P. (2006). The redemptive self: generativity and the stories Americans live by. *Research in human development*, 3(2&3). pp. 81-100.

McAdams, D. P. (2009). *The Person: An Introduction to the Science of Personality Psychology*, 5th ed. USA: John Wiley & Sons, Inc.

- McAdams, D. P. (2011). *George W. Bush and the redemptive dream*. New York: Oxford university press.
- McAdams, D. P., & McLean, K. C. (2013) Narrative identity. *Association for psychological science*, Vol.22. No.3. pp. 233-238.
- McLean, K. C. (2015). *Co-Authored Self: Family Stories and the Construction of Personal Identity*. Oxford Press.
- McLean, K. C., & Syed, M. (2015). *The Oxford handbook of identity development*. New York: Oxford university press.
- McLean, K. C., & Weststrate, N. M. (2010) The rise and fall of gay: a cultural-historical approach to ay identity development. *Psychology press*. Vol.18. No.2. pp. 225-240
- Pals, J. L., (2000). Self-narrative of difficult life experiences in adulthood. Unpublished doctoral dissertation. University of California, Berkeley.
- Pals, J. L., & McAdams, D. P. (2004). The transformed Self: A narrative understanding of Posttraumatic growth. *Psychological Inquiry*, 65-69.
- Schultz, W. T. (2005). *Handbook of psychobiography*. New York: Oxford university press.

Article received: 2016-09-05